

კავა ერთოსტელი

კოლხეთი  
ფსალმენი

100-ტომეული




გამომცემლობა „კიბერსაფი“  
თბილისი 2019

საქართველოს მწვრალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# კუსა ეტნიკოლოგი



## კოლეგია ფსალგუნები

0169 ულეათა პრებული  
100 თბილი


2019



საქართველოს მწვრალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# კუსა ეტნიკული



კოლეჯი  
ფსალგუნები

ტომი 2

2019



მთ. რედაქტორი

**ლუარა სორღია**

ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი,  
აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2019

გამომცემლობა „**ანიშაული**”, 2019

---

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკური №4, თე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-584-6 (2 ტომი)



\* \* \*

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაჟა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუთი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესომე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა კავშირის, ვაჭავებელასა და გალაკტიოზ ტაბიდის არემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმაცანის მედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის მქროს ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მოერალია მეცნიერთა და საზოგადო მოდვარია საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზის საერთაშორისო კაპადემია ვიცე-კრეზიდენტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შალგუნების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შალგუნების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდი-ანი, უბადლეს კოლიგრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიურულს გამოვიდა „კოლეჯი შალგუნების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასიკური კოექტის ათომობუ-ლი, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოე-ლი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კანკისყრით ერთ-ხეად აირჩია აგავე კადემიის 30ხვ-კარეზილენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შალგუნების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მოერალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბაბი და დაჩი (ორივა იურისტი) და სამი შვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





## პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხევი, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვებავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაბაღლა ვაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოენს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმისის ჰალაში მდგარი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვეასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მთიული ხელმოწის, აიეტის ხელი დარბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპები, კოეტმა იქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შსალმუნების“ იგავითვალებრივი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვასის ნაცარიმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდონინდები სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნევანი მთიული, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდლული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითხგა.

100-ტომეული... ქვეყნის გარენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძမინა დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გვე-ლუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

### გულახ ხარაიზვილი

პოეტი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიალი,  
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა  
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„ბულგოგად შეხვდი ყოველ შებას, ყოველ  
ძაბუბას.“

ა. პუშკინი

გთავაზობთ, ამონარიდებს ვაჟა ეგრისელის შე-  
მოქმედებისადმი მიძღვნილი ათასამდე ქართველ და  
უცხოელ მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღ-  
ვაწეთა წიგნებიდან, სტატიებიდან, წერილებიდან:

ვაჟა ეგრისელის ლექსები მცირე ზომის ჩანახა-  
ბებს წარმოადგენს, მეტაფორებითა და დრამატიზ-  
მით რომაა დამუხტული. მინიატურული სალექსო  
ფორმა პოეტისათვის სააზროვნო სივრცედ იქცა, რა-  
მაც ხელი შეუწყო თვითმყოფადი სტილის დამკვიდ-  
რებაში.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა,

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“.

18 ოქტომბერი, 1991 წელი.

რევაზ ჩხარტიშვილი – მწერალი, პროფესორი: „...  
ვაჟა ეგრისელისებურად, ლაკონურად და სხარტად  
თითქმის არავინ წერს ქართველ პოეტთა შორის...“



**გიორგი ციციშვილი** – პოეტი: „...ვაჟა ეგრისელის მცირე მოცულობის ლექსებში დიდი აზრი და ფიქრია ჩაბუდებული...”

**გიორგი წერეთელი** – პოეტი: „...ვაჟა ეგრისელმა წინ დაგვიდო ფასდაუდებელი წიგნი-კიდობანი - „იქ-მენ ნათელი!“ ახალადმოჩენილი მარგალიტებით სავსე... მიხარია, რომ პოეზიის ლაჟვარდოვან ცაზე კი-დევ გაჩნდა ვაჟა...”

**გიზო ჭელიძე** – მწერალი, პროფესორი: „... ჩემამ-დე ბევრ მწერალს და მეცნიერს უთქვამს და მეც ვი-მეორებ: ვაჟა ეგრისელმა ქართულ მწერლობაში და საერთოდ მწერლობაში ყველასაგან განსხვავებული, გამორჩეული სიტყვა თქვა...”

**იმერი ხარაძე** – პოეტი: „...უძველესი კოლხური მითებითა და ლეგენდებით, იდუმალი ხილვებითა და მეტაფიზიკურ სივრცეში შეჭრით გაჟა ეგრისელმა შექმნა ამაღლებული, პირველყოფილ უმანქოებასთან წილნაყარი უდიდესი პოეზია...”

**პროკოფი ხვიჩია** – პროფესორი: „... ეგრისელის პოეზია დიდ წინაპართა ფერფლად ქცეული და მი-ვიწყებული სულის საგალობლია...”

**გივი ხვიჩია** – ქიმიკოსი: „დროებით ოკუპირებული აფხაზეთის კვნესა მოისმის ვაჟა ეგრისელის უზომოდ ტკიფილიანი ლექსებიდან...”



**ნოდარ ხუნდაძე** – პროზაიკოსი, პოეტი: „...ზღვის დაუოკებელი სტიქია ბობოქრობს ვაჟა ეგრისელის უკიდეგანო პოეზიაში...“

**ტიტე ხუხუა** – ლიტერატორი: „...მსოფლიო პოეზიის ოკეანეში აისძერგივით მოჩანს ვაჟა ეგრისელის ლირიკული ლექსების უზარმაზარი კრებული - „იქმენ ნათელი!“

**ალაზა ხაიაური** – პოეტი: „...ვაჟა ეგრისელმა ბევრი საინტერესო წიგნი გამოსცა და ლექსებით დაამტკიცა, რომ იგი ბუნების მომღერალი დიდი მგოსანი და გენიალური ვაჟას ლირსეული მემკვიდრეა...“

**ზურაბ ჯულელი** – ინჟინერ-კონსტუქტორი: „...ჩემი აზრით, თანამედროვე ქართულ პოეზიაში ვაჟა ეგრისელი თავად გახდავთ სკოლაც და მიმდინარეობაც...“

**რევაზ ჯაფარიძე** – მწერალი: „... ვაჟა ეგრისელი ერთ-ერთი საინტერესო პოეტია იმ პოეტებს შორის, რომლებიც ამჟამად მოღვაწეობენ და მსხვერპლს წირავენ პოეზიის ღვთაებას. მისი ლექსის ინტონაცია ელეგიურია, ხატვის მანერა კი სახოვანი, რელიეფური, ალაგ-ალაგ მონუმენტურიც.“

ეგრისელის ლექსები ყურადღებას იქცევს როული სიუჟეტური აღნაგობით და რითმების ბრწყინვალებით. ლექსის შინაგანი ტონალობა თითქოს



ლრმად ჩაძირულა პოეტური განცდის წიაღში და მკითხველის გულის კამერტონს იქიდან ეხმაურება. იგი თითქოს ზარის ერთი ჩამოკვრაა, ერთი აქდერებაა, რომლის გარშემოც ბგერების უსასრულო წრეები გროვდებიან.

პოეტის ნაფიქრ-ნააზრევ-ნაძერწის კომპაქტურობას ხელს უწყობს ლექსის მცირე ფორმა, მცირე ფორმაში მოქცეული იმპრესიონისტური ხედვა მოვლენების აღქმაში არასოდეს არ აგრევა. ეგრესელის პოეტური სტრიქონი არ ეგუება უცხო სხეულს, ერთხელ უკვე ნათქვამის განმეორებას, საიდანდაც მოტანილი რემინისცენციებს. ის თავისთავადია და არც თავის მხრივ შეიძლება იქცეს სხვა პოეტის ლექსის შემადგენელ ნაწილად, რადგან მას თავისი შემქმნელის განუმეორებელი ბეჭედი აზის...”

**ანდრია აფაქიძე** – აკადემიკოსი: „.... ჩემი ხანგრძლივი არქოლოგიური მუშაობის პერიოდში აღმოჩენილი მრავალ ღირსშესანიშნაობათა შორის, ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნების“ ათასგვერდიანი ტომეულები ჩემთვის ყველაზე დიდი აღმოჩენაა...”

**მურმან გელენიძე** – მხატვარი, აკადემიკოსი: „.... ვაჟა ეგრისელი თანამედროვეობის დიდი პოეტი-მხატვარია, მისი უდიდესი პოეზია მეტაფორულენოვანი ფუნჯითად ამეტყველებული და ამიტომ ყოვლის მმუსვრელი უმი ამაოდ შეეცდება მის დამუნჯებას...”



**გიული გეგელია** – არქიტექტორი: „... არა მგონია თანამედროვე მსოფლიოში იყო ვაჟა ეგრისელზე დიდი, ფილოსოფიურად მოაზროვნე პოეტი...”

**დავით გვაძაბია** – პარლამენტარი: „...ვაჟა ეგრისელის „შავლეგო” კავკასიონის მთაა, სადაც ქართული სული-ამირანია მიჯაჭვული...”

**ერეკლე საფლიანი** – პოეტი: „... ვაჟა ეგრისელის პოეზია განუმერებელია... მისი ლექსი სხვათა მიღიონი ლექსიდან გამოიცნობა...”

**ლაშა გვასალია** – პოეტი: „... ვაჟა ეგრისელი დიდი პოეტი და ისტორიული კოლხეთის სწორუპოვარი ჭირისუფალია...”

**ფარნაოზ ლომაშვილი** – პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელი თანამედროვე ქართული პოეზიის მშვენებაა...”

**ზურაბ ლიპარტია** – პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელი „დიდი ვაჟას კლდის ნასხლები” (ტარიელ ზოზრაშვილი) კი არა, პოეზიის პიტალო კლდეა...”

**ალექსანდრე მუჯირი** – პროფესორი: „...ვაჟა ეგრისელის პოეტური ქმნილებების სიღრმისეული წვრომისთვის, დიდი დროა საჭირო...”

**ნოდარ ჭითანავა** – პროფესორი: „... წარსულის, აწმეოს და მომავლის კვარცხლბეჭებე ამაჟად შემ-



დგარი ბატონი ვაჟა ეგრისელი სილამაზის, ცოდნის და რწმენის ერთიანობის სანიმუშო მაგალითი, დღეგრძელობის ღირსი კაცია... დღეგრძელი იყავი, ბატონო ვაჟა!”

**ალექსანდრე კუჭუხიძე** – სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთი”-ს პრეზიდენტი, აკადემიკოსი: „... ვაჟა ეგრისელის „კოლხეურ ფსალმუნებში” არა მხოლოდ ლეგადარული აიეტის და მედეას კოლხეთია გაცოცხლებული, არამედ შემდეგი დროინდელი ეგრისიც და... დღევანდელი სამეგრელოს ცრემლნარევი ხმებიც მოისმის მისი უბადლო პოეტური სტრიქონებიდან...”

**გახტანგ დავითაძა** – აკადემიკოსი: „... ჯერ კიდეროდის, მეოთხედი საუკუნის წინათ, ვაჟა ეგრისელის გუწინასწარმეტყველე დიდი პოეტური მომავალი... მის ლექსებში ეპითეტების ზეიმი და მეტაფორების ნამდვილი ცვენაა...”

**ვაჟა აზარაშვილი** – საქართველოს სახალხო არტისტი, პროფესორი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე: „...არა მგონია, დუნიაზე ბევრი იყოს ვაჟა ეგრისელივით სახელოვანი პოეტი, რომლის ლექსები მსოფლიოს 45 ქაზე თარგმნილი და მისი ავტორი გინესის წიგნში იყოს შეტანილი...”

**გიორგი ჯავახიშვილი** – პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელი ჭეშმარიტად ჩასწვდა კოლხეურ სულს, მისი



„კოლხური ფსალმუნები” მეტანით (მუხლმოყრით) არის წასაკითხი...”

**ცოტნე მირცხულავა** – ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი: „... ახლახან ამერიკის შეერთებული შტატებიდან – რადიოთი დიდი გადმოცემა იყო ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაზე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეგრისელი დიდი პიროვნება და საქვეყნოდ აღიარებული პოეტია...”

**მიმოზა ცანავა** – პოეტი: „... გიორგი ჭყონდიდელის სიბრძნე და ცოტნე დადიანის რაინდობა ელავს ვაჟა ეგრისელის „კოლხურ ფსალმუნებში.“

**კოჩა კოლხი** – ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი: „... ძველი კოლხური ცივილიზაციის გენიალობაში წვდომაშ და ვაჟა ეგრისელის „კოლხურმა ფსალმუნებმა“ მიბიძგა: გამეხსნა და მეცნერულად შემქსწავლა „ძველკოლხური ენის საიდუმლოებანი...”

**თეიმურაზ გუგუშვილი, ჯემალ მდიგანი** – საქართველოს სახალხო არტისტები: ...” ვაჟა ეგრისელი ცისკენ მაცქერალი, მეოცნებე მგოსანია. მისი უდიდესი პოეზიდან გვესმის ბეთოვენის სიმფონიები, დონიცეტის, ვერდის, ფალიშვილის, თაქთაქიშვილის და სხვა გენიალური კომპოზიტორების მელოდიები, რომელთაც ჩუმად გლიფნებთ ჩვენთვის...”



**გიორგი შათირიშვილი** – იყალთოს, შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიის რექტორი: „...რენტგენის სხივებიც ვერ უპოვის ვაჟა ეგრისელის დიდ პოეზიას და უბრწყინვალეს პიროვნებას „შავ წერტილს.” მას, მამულისათვის თავდადებულ და ერთგულ მსახურს, არ სჭირდება ტაში...”

**გიორგი გეგმებორი** – მხატვარი: „...ვაჟა ეგრისელმა თავისი ბრწყინვალე „კოლხური ფსალმუნებით “გაგვიცოცხლა აიეტის და ქუჯი ეგრისელის ზღაპრული კოლხეთი...”

**ხვთისაგარ არჩემაშვილი** – პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელი – მამულის იმედი, ადამიანის გულის მალამო და პოეზიის მეწყერია...”

**ილია პატაშვირი** – მხატვარი, აკადემიკოსი: „...ვაჟა ეგრისელი – მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის ქონგურზე მდგარი – პოეტი მეციხოვნეა...”

**შალვა საბაშვილი** – პროფესორი, პოეტი: „... ვაჟა ეგრისელმა თავისი ბრწყინვალე „კოლხური ფსალმუნებით”, როგორც არავინ, განადიდა ეგრისი...”

**ირაკლი კალანდია** – პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელი – ფილოსოფიურად მოაზროვნე, საოცარად დიდი პოეტია...”



**რევაზ ხუხუა** – აკადემიკოსი: „... ეგრისელი გარდა დიდი პოეტისა, უდიდესი მამულიშვილიცაა და რაინდიც...”

**უშანგი მოსიაშვილი** – აკადემიკოსი: „გიორგი სააკაძეზე მიძღვნილმა ვაჟა ეგრისელის ლექსებმა სულ სხვა ბრწყინვალება შესძინეს დიდი მოურავის უკვდავ სახეს...“

**სოფო ქართველიშვილი** – პოეტი: „... ვაჟა ეგრისელი ის პოეტია, რომლის უდიდესი შემოქმედება ნებისმიერი დიდი ქვეყნისა და საუკუნის ლიტერატურას დაამშვენებდა...”

**იაკობ ახუაშვილი** – პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელმა, ამ მრავალუეროვანი ნიჭით ხმობილმა კაცმა, მრავალსაუცუნოვანი ქართული ლიტერატურა უფრო აამაღლა და გააღამაზ-გაამშვენიერა...”

**ვალერიან მოსაშვილი** – მწერალი, („ბიბლიური ლექსების წიგნი”): „... ვაჟა ეგრისელის ლექსზე შეიძლება თვეობით იფიქრო და სქელტანიანი წიგნები დაწერო. მისი ლექსების ჩვეულებრივი წაკითხვა არ შეიძლება, მას „ბიბლიის” მსგავსად დრმად ჩაწვდომა ესაჭიროება, რომ შეიგრძნო პოეტის სიბრძნე, სიტქმო, და სითბო. ასეთი ყოველი დიდი პოეზია ხალხს ეპუთვნის და ვაჟა ეგრისელი განუმეორებელ-



ლი ხმის, ჭეშმარიტად დიდი და სახალხო პოეტია...”  
(1993წ.)

**იგორ ტყებუჩავა** – ინჟინერი, ფაზისის საერო  
აკადემიის ნამდვილი წევრი-აკადემიკოსი: „...როგორც  
დავით წინასწარმეტყველი (ფსალმუნთმგალობელი)  
სამიათასი წლის წინათ, ასევე ვაჟა ეგრისელი სამია-  
თასი წლის მერე „კოლხეური ფსალმუნებით”(30.000  
ლექსი) სახოტბო საგალობელი პოეზიის გვირგვინო-  
სანი მეფეა...”

**ავთანდილ თოლომაშვილი** – პროფესორი, საქარ-  
თველოს ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი:  
„...ზოგიერთებს თვალზე შერის ლიბრი აქვთ გადაკ-  
რული, ვითომ ვერ ხედავენ, ვერ ამჩნევენ ვაჟა ეგრი-  
სელის ჭეშმარიტად განუმეორებელ პოეზიას...”

**ქარლო თოფურიძე** – პროფესორი: „...ვაჟა ეგრისე-  
ლის პოეზია ზოგადყაცობრიული და ყველა ეპოქისა  
და ყველა ხალხის კუთვნილებაა...”

**დავით იუგურიძე** – პოეტი: „... ათასწლეულებს  
გაწვდება ვაჟა ეგრისელის პოეზია, რადგან იგი,  
სრულიად ახალი სიტყვად მრავალ საუკუნოვან ქარ-  
თულ მწერლობაში...”

**ზაზა ქაციაშვილი** – პოეტი მეცნიერი: „... პოეზი-  
ის საჯილდაო ქვაც აწია და სიზიფეს ლოდიც აიტა-  
ნა ვაჟა ეგრისელმა პარნასის მთაზე...”



**ნიკო კერესელიძე** – პროფესორი: „... ვაჟა ეგრისე-ლის ლექსები უძველესი ქართული ტაძრების ფრეს-კებივით – დვთიური სულითაა გაბრწყინებული...”

**ალექსანდრე კვაშილავა** – პროფესორი, აკადემი-კოსი: „... ვაჟა ეგრისელის პოეზიიდან ისმის კოლხე-თის შორეული წარსულიდან მოფრენილი, ზღაპრუ-ლი ფასკუნჯის ქრუანტელის მომგვრელი ფრთების ტყელაშუნი...”

**რევაზ კილაძე** – პროფესორი: „...ვაჟა ეგრისელის პოეზიის ერთი წევთიც კი – აუწონავი აზრისა და ზღვა შინაარსის ტევადობისაა...”

**გარლო ჭობავა** – ისტორიკოსი, ფაზისის საერ აკადემიის ნამდვილი წევრი – აკადემიკოსი: „... სამეგ-რელოს, სახელოვანი პოეტები არასოდეს კლებია – (ალიო მაშაშვილი (მირცხულავა), ალექსანდრე აბა-შელი (ჩოჩია), სიმონ ჩიქოვანი, პოლიო აბრამია, ხუ-ტა ბერულავა და სხვ.) მაგრამ ვაჟა ეგრისელი (დოლბაია) – თავის „კოლხური ფსალმუნებით“ (30 000 ლექსი) განუმეორებელი და გენიალურია...”

**ვანო მეგრელი** – პოეტი, საქართველოს ეროვნუ-ლი აკადემიის აკადემიკოსი: „... თანამედრვეობის უდიდესი პოეტი ვაჟა ეგრისელი ოცდამეერთე საუკუ-ნის პოეზიის მესიაა და ჩვენ პოეტები, როგორც მაც-



ხოვარს თავისი მოწაფეები, თაყვანს უნდა გცემდეთ  
მას...”

**რომული ჯაფარიძე** – არმიის გენერალი, აკადე-  
მიკოსი: „...რუსთაველის, ბარათაშვილის, ვაჟა-ფშავე-  
ლას და გალაკტიონ ტაბიძის შემდეგ, ჩვენ ვაჟა ებ-  
რისელი მოგვივლინა არსთა გამრიგემ...”

**ლიანა წურწუმია** – პროფესორი, ფაზისის საერო  
აკადემიის სწავლული მდიგანი: „...ვაჟა ეგრისელი  
დიდი პიროვნება და დიდი ფილოსოფოსი პოეტია...”

**ქეთევან კობაიძე** – ფიზიკოსი, პროფესორი: „...  
ძელი ბერძენი ფილოსოფოსი დიოგენი რომ ეძებდა  
სანთლით, ის კაცი და პოეტია ვაჟა ეგრისელი...”

**რევაზ კორტავა** – ლიტერატორი, პოეტი: „... გრი-  
გოლ ორბელიანი დიდი პოეტია, მაგრამ მისი დის-  
შვილი ნიკოლოზ ბარათაშვილი გენიალურია...”

**ალიო მაშაშვილი (მირცხულავა)** – „თანამედრო-  
ვეობის დიდი პოეტია,” მაგრამ მისი დისწული – ვაჟა  
ეგრისელი კი ჯერაც შეუცნობი ფერმენტია...”

**ბუდუ ქუპატაძე** – პოეტი: „... ადრე მითქვამს და  
ახლაც ვიმეორებ: ვაჟა ეგრისელს აწი ვერცერთი მი-  
სი თანამედროვე პოეტი ვერ „დაეწევა”...”



**ზურაბ ლორთქიფანიძე** – პოეტი: „... ყოველთვის  
მანცვიფრებდა ვაჟა ეგრისელის მეტაფიზიკური და  
მეტაფორული აზროვნება...”

**ალიო მაშაშვილი** – მირცხულავა – პოეტი: „...  
ვაჟა ეგრისელი იტყვის თავის სიტყვას მრავალსაუ-  
კუნვან ქართულ პოეზიაში, ამის საწინდარია ახალ-  
გაზრდა ლიტერატორის უტყუარი პოეტური ნიჭი...”  
1961 წელი.

**გივი მინდიგაური** – იურისტი, პოლკოვნიკი: „...  
არა მთისა და ბარის, კოსმიურია ვაჟა ეგრისელის  
პოეზია...”

**ლერი მუსხელაძე** – მწერალი, ქურნალისტი: „...  
ბიბლიის ყველაზე დიდსა და წმინდა საიდუმლოება-  
საა ნაზიარები ვაჟა ეგრისელის ბრწყინვალე პოე-  
ზია...”

**ალექსი ბოლქვაძე** – მწერალი: „... ვაჟა ედრისე-  
ლის პოეზიის სირთულეს, მისი ლირიკის ფილოსო-  
ფიურ სიღრმეს – გონქბის თვალით უნდა ჩასწვდე,  
ჩაეძიო, ისე ზერელედ თვალის ერთი გადავლებით  
მისი უკიდეგანო სიდიადის აღქმა ყოვლად შეუძლე-  
ბელია...”

**გივი ბოჯგუა** – მწერალი, ფილოლოგიის მეცნიე-  
რებათა დოქტორი: „... ვაჟა ეგრისელის პოეზია, მეო-



ცე საუკუნის პოეტური ვულკანის ამოფრქვევაა, ბოროტების სიკეთით წამლეკავი...”

**ნოდარ გაბლიშვილი** – პროფესორი: „... ვაჟა ებრისელის ფილოსოფიურ-ლირიკული ქმნილებები, ცოცხალი მატიანეა საქართველოს უძველესი ცივილიზაციისა...”

**ზურაბ გეგიძე** – იურისტი, მოსამართლე: „... ლაქონი ყველაზე მაღალი მსაჯულია. იცის ვინ, როგორ და რანაირად დასაჯოს... მაგალითად, პოეტ ვაჟა ეგრისელს „მიუსაჯა” სამუდამო პატიმრობა პარნასის მთაზე – მუზების სამყაროში...”

**ელდარ გეწაძე** – საქართველოს სახალხო არტისტი:

„... კოლხებისა და ლაზების უძველესი ომახიანი სიმღერების ხმა მოისმის ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნებიდან...”

**სოსო სიგუა** – პროფესორი, კრიტიკოსი: „... არაფერი რომ არ დაეწერა ვაჟა ეგრისელს გარდა მერაბ კოსტავასადმი მიძღვნილი უბრწყივალესი ლექსისა - „შავლებო,” ქართულ მწერლობაში, როგორც დუტუ მეგრელი, იმ ერთი ლექსითაც დარჩებოდა...”

**რევაზ სხილაძე** – პროფესორი: „... მოვა დრო და ჭეშმარიტი პოეზიის მოყვარულები და თაყვანისმცემლები როგორც ჩარგალში, ასევე ხობში და ხორგა-



შიც იდლესწაულებენ ქართული ლექსის უკვდავებას...”

**დარეჯან სხილაძე** – მეცნიერ-მათემატიკოსი: „... ეგრი-სელის უდიდესი შემოქმედების ანალიზი და მათემატიკური სიზუსტით გაანგარიშება, მესამე ათას-წლეულის პრეროგატივაა...”

**ივერი ტაბიძე:** – უერნალისტი, პოეტი: „... დადგება უამი, გაუა ეგრისელი არა მარტო რუსთაველის, არამედ ნობელის პრემიის ლაურეატიც გახდება...”

**ავთანდილ ტოროშელიძე** – მეცნიერ-ფილოლოგი: „... ვაუა ეგრისელის პოეზია – ქართული მხატვრული სიტყვის ენციკლოპედიაა...”

**ელიზბარ უბილავა** – მწერალი; „... ვაუა ეგრისელის მინიატურული ლექსები – შეკუმშული პოემებია...”

**ალექო თოდუა** – პუბლიცისტი, აკადემია „ქალ-დეას“ აკადემიკოსი: „...კოლხეთის პრეისტორია და ისტორია გაგვიცოცხელა და ხელისგულზე დაგვიდო ვაუა ეგრისელმა...”

**ვაუა ჭუბუსიძე** – პოეტი: „...პოეზიის კლდეზეა მიკაჭვული ვაუა ეგრისელი და ვერასოდეს შეძლებს აწევებას...”



**ტიტე შეყილაძე** – მხატვარი: „... ზღვა კი არა,  
ოკეანეა ვაჟა ეგრისელის შემოქმედება...”

**ანზორ შონია** – ისტორიკოსი, აკადემიკოსი: „...  
დიდი კოსტანტინესი არ იყოს: - შენ პე! ვაჟა ეგრი-  
სელო! პატარა ხობის წყლის პირას გაზდილო, დი-  
დო „პოეტო ბიჭო!” მიხარია, რომ დიდი მდინარეების:  
ხუანხეს, განგის, ოდერის და ვოლგის წყლის პირას  
გაზრდილი „პოეტი ბიჭები,” რომ გასხამენ ხოტბა-  
დიდებას!”

**ოთარ ჩახუნაშვილი** – ექიმი, აკადემიკოსი: „... ეგ-  
რისელის უდიდესმა შემოქმედებამ დამარწმუნა იმა-  
ში, რომ იგი მსოფლიო მნიშვნელობის პოეტია...”

**ვაჟა ჩორდელი** – მწერალი: „... ვაჟა ეგრისელმა  
პოეზიის ცხრათავიან დევს ეშვები აუელვარა...”

**ბორის ჩულგოვი** – ვოლოგდა: „... ჩემი მეგობარი  
ქართველი პოეტი – ვაჟა ეგრისელი, ფრანგი ან ინ-  
გლისელი რომ ყოფილიყო, ამდენ ხანს ნობელის  
პრემიას მიიღებდა”...

**მარინე წოწოლაური** – მწერალი: „... მოსკოვის  
ლიტერატურის ინსტიტუტში ვაჟა ეგრისელი, რო-  
გორც პოეტი ჩვენი სიამაყე იყო, ხოლო როგორც პი-  
როვნება ჩვენი იმედი...”

**შალვა დავითაშვილი** – კომპოზიტორი, აკადემია,  
„ქალდეას” ნამდვილი წევრი - აკადემიკოსი: „... ვაჟა



ეგრისელი უდიდესი შემოქმედება, პოეზიის ღმერთისადმი შეწირული კაცის ლოცვაა”...

**ბეჟან ნადარაძა** – ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი: „... ვაჟა ეგრისელმა ათასწლეულების იქიდან გამოიხმო ჩვენი შორეული წინაპრების – „ქალდეველების” მივიწყებული სული და „კოლხური ფსალმუნებით” გააცოცხლა”...

**ლუარა სორდია** – პროფესორი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია, „ქალდეა”-ს აკადემიკოსი: „... საერთოდ, დასავლეთის თუ აღმოსავლეთის ყველა პოლუსის, ყველა განედის მომხილველი ვაჟა ეგრისელი ნაზიარებია მსოფლიოს გონის საუკეთესო მიღწევებს – პრეისტორიის, ისტორიის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, რელიგიის, მითოლოგიის, ბიბლიის, ქსოვილის ასპექტებით. იგი არის პოეტი – მითოლოგი. ისტორიკოსი, ალქიმიკოსი, ასტრონომი, ასტროლოგი, მათემატიკოსი, ეზოთერიკულ სიბრძნეს, მისტიკურ სიბრძნეს ნაზიარები, რომელსაც თვით აპოლონი უსინჯავდა მაჯას”...



\*\*\*

ღვთისმოსავი ცეცხლის მქრობის,  
ჭაჭანება შეწყდა ქარის,  
და ნიავიკ აღარ იძვრის.  
ოქროს ბილიკებით მთვარის –  
კვლავ გადმოდის სული  
სიბრძნის.

2010



არც ნოე ჩანს,

არც მსავი

წევთისოფლის ტრიალს ვერ ვცვლი,

არც ნოე ჩანს,

არც ესავი!

ცოდვის კალო დგება მთებად.

შავი გჟენის ცეცხლი

გსურს ჩააქრო

ქრისტესავით,

რომ მოკვდავმა იგრძნოს შეება.

2012



\*\*\*

უსამანო ცის ველ-მინდვრებს  
მწუხარის გარსკვლავების  
ცეცხლი –  
ვერასოდეს გადაბუგავს.  
შენ სიკვდილი ვერრას გიზამს,  
თუმც თვალები ელვას უგავს.  
სიყვარულის მზე დაგიცავს,  
ვით უფლის ფრთა,  
თვალთა გუგას.

2004



\*\*\*

ნისლით მოსილ –

შორ წარსულში,  
ნილოსის ლურჯ ნაპირებთან –  
იოს ძროხა სადაც ება,  
იქ პონტოდან მიმიყვანეს,  
გვ,  
კოლხურმა ლეგენდებმა,  
მითებმა და იგავებმა.

1969



\*\*\*

ხმა შენეულ „ფსალმუნთა“

ეშმაკეულთ ამუნჯებს!

ქრისტეს მცნებას მიჰყვები,

და ხელოუქმნელ საუნჯეს

არა დედამიწაზე,

მეცხრე ცაში აუნჯებ.

2012



\*\*\*

სააკაძის ორგზის\* მოკვლის

ფიქრიც

როგორ აპატიათ

ღმერთმა, მტრობის ბალანაშვილთ,

ქაიხოსრო ჯავახიშვილს

და შადიმან ბარათაშვილს.

1992

\*1 – 1612 წელს – შადიმან ბარათაშვილმა

\*2 – 1615 წელს – ქაიხოსრო ჯავახიშვილმა



\*\*\*

ბაირონის გზას მიჰყვება  
და თითქოს ხელს  
უქნევს შელლი.  
იმედებით ატკბობს ნიკე,  
მაგრამ ვერგინ ვერ უშველის  
პოეზიით დააგადებულ –  
ურუ-მუნჯებს და  
დალტონიქებს<sup>1</sup>.

1970

1 – დალტონიქი – ცუდადმხედველი.



\*\*\*

წვიმამ უცებ გადაიღო  
და ვით ქრისტე, ჩანს ირისე<sup>1</sup>,  
გაიელვა „მარტირიკამ“<sup>2</sup>.  
მერე ლოცვა აღავლინა –  
ჩემმა რწმენამ  
და ლირიკამ.

1979

1 – ირისე (ბერძ.) – ცისარტყელა.

2 – „მარტირიკა“ – ანტონ კათოლიკოსის (ბაგრატიონი – XVII ს) პაგიოგრაფიული „საკითხაფი“ წმინდანთა დღესასწაულზე.



## ლიპარიტი

ჩვენს,

კლდეკარის ერისთავებს –

ლიპარიტებს\*,

ათასეულ წლის წინათ

და უფრო იქით...

სიცილიას რა უნდოდათ

ან ლიპარის კუნძულებზე –

მობობოქრე ზღვა-ტირენთან?!

აი,

მე რა მადარდებდა

ან ასე რა მატირებდა.

1995

\* ლიპარიტი – ვალგანური ქანი ტირენის ზღვაში.



## ტ შ 0 ა

(ანდერძისმაგვარი)

ირგვლივ სიცოცხლის გარდი ჰყვაოდეს  
და მზის სხივები

სითბოს თესავდნენ

(სადაც ჩიტები ბუდეს იწნავენ),

და...

ჩემს საფლავთან,

ვით ნათესავი,

იდგეს ტუია\*, –

დამტიროდეს ცას და

სიმწვანეს.

2014

\* ტუია (ბერძ.) – მარადმწვანე დეპორატიული ხე.



\*\*\*

წამით გამომკრთლ ნათელზე ელგის,  
დამის სიშავე იქცევა თეთრად,  
და მთის მწვერვალად –  
პატარა ბორცვი.  
მლოცველნი,  
რწმენის კიბეებით,  
ცრემლით და ლოცვით,  
სვენებ-სვენებით ადიან  
დმერთან.

1997



## ლარაში და ბაზობირა

კოლხთა ხელით ნაშენები,  
ღმერთმა ვეღარ დაიფარა,  
დავიწყებამ გადიბირა,  
შურუბაქი<sup>1</sup> და იფარი<sup>2</sup>,  
ლარაქი<sup>3</sup> და  
ბაზობირა<sup>4</sup>.

1987

---

1, 2, 3, 4 – ტიგროსისა და ეფურატის (შუამდინარეთი)  
გაყოლებაზე წარმოშობილი, დედამიწაზე ყველაზე ძველი  
ქალაქები (VI ათასწლეული).



## ხმები

მთვარის ბორცვებზე შემომდგარ  
პოეზიის ტაძრიდან,  
ფრანგებს ხმები ესმოდათ:  
რონსარის და ვიონის,  
რუსთველის და აკაკის,  
გაუას,  
გალაკტიონის.

1964



## პოლიტიკური და ფინანსური

ქართველები ქრისტემდე  
 იყვნენ ქრისტიანები  
 და ებრძოდნენ წარმართებს,  
 რომლებმაც ცა მოპარეს,  
 მაგრამ ვეღარ წაართვეს:  
 მამა,  
 ძე და სულიშმინდა,  
 კონდაკი<sup>1</sup> და ტროპარი<sup>2</sup>.

1972

<sup>1</sup> – კონდაკი (ბერძ.) – მოკლე საეკლესიო საგალობელი.  
<sup>2</sup> – ტროპარი (ბერძ.) – სალოცავი ლექსი ან გალობა.



## მიღია, მეღია, მეღოსი

კოლხ მედეას ძის – მედოსის,

მეუფობის სიზმარ-ცხადი,

ათასწლეულებს ერთვიან –

ლეგენდებით შემოსილს.

თუ დავუჯერებო როდოსელს\*:

სხვადასხვა არა,

ერთია –

მიღია – მეღია – მეღოსი.

1978

\* აპოლონიოს როდოსელის (დაახლ. 295-215 ჩვ.წ.აღ) მიხედვით, კოლხება მედეამ მამის (აიეტის) სიკვდილის შემდეგ ტახტზე აიყვანა თავისი შვილი მედოსი, რომლის მიხედვით მის საბრძანებელს ეწოდა „მეღია“ (და არა „მიღია“, ვ.ვ.).

\*\*\*

წამლად არ ჩანს ნიავქარი,  
მზეს კი ცეცხლის  
აკრაგს დისკო  
და დასავლით მიაქანებს,  
ყოველივეს აქ აგვისტო.  
პვლავ კითხულობს  
ღამით მთვარე,  
გარსპელავების აკათისტოს<sup>1</sup>.

1966

<sup>1</sup> – აკათისტო – საგალობელი (დაუჯდომელი).



\*\*\*

შესციცინებს ქამს უჟამოს,  
მზეთამზე კი სხვას არ  
ჰყვარობს,  
უკვდავება კართან გიზის,  
რადგან ხედავს სხვა სამყაროს  
შენი გონის –  
ეპიფიზი<sup>1</sup>.

2012

<sup>1</sup> –ეპიფიზი (ბერძ.) – ტვინის ზედა დანამატი (გირჩისებრი ჯირკვალი).



\*\*\*

დასავლეთისკენ რბიან ღრუბლები,  
 ზღვის ზგირთებდაყრილ  
 ბუნაგს ელტვიან.  
 ხეებიც მწვანე კვირტებს ნასკვავენ...  
 ფერთა გამებით მოხასხასე ცა –  
 მოლბერტია  
 და მთვარის ფუნჯით მწუხრი ხატავს  
 ოქროს ვარსკვლავებს.

1963



\*\*\*

გადანისლულ ზღვის ტაძარში

ტალღებმა კვლავ იწყეს მესა,

ქარიშხლის ხმა როცა მიწყდა,

აე

მედეას ხმა მომესმა:

– „ვფიცავ მზეს და მთვარეს,

მიწას.“ (როდოსელი).

1967



\*\*\*

(ხუმრობით)

ქვეყნის გასანათებლად,  
ნიჭის წევს, როგორც  
ჩირალდანს,  
აგპაცობის მგმობელი.  
აღარ გიღირს  
ჩირადაც,  
„ნერუცა“ და „ნობელიც“.

2008



## აია-ნები

მაშინ,

მიწა აღარ ეყოთ სათარეზოდ  
და თუ იყვნენ სუსტები და  
უძლურები,  
უცხო მიწა რად ინდომებს?!

- ხონსიუს<sup>1</sup> და ხოკაიდოს<sup>2</sup>  
კუნძულები,  
რისთვის სურდათ საცხოვრისად  
კოლხურ ტომებს?!

2001

1,2 – ხონსიუსა და ხოკაიდოს კუნძულებზე (იაპონია) –  
აია-ნები ცხოვრობდნენ.  
„აია“ – უძველესი კოლხეთის სახელმწიფო.



## გევზისტყაოსანი

გზას მიუყვება მარადისობის,  
ვით მზიან დამით,  
სიმღერა მეხრის.

არსთაგამრიგემ ასე ინება.

ცხრა საუკუნე,  
როგორც ცხრა ვეფხვი,  
მისდევს ფეხდაფეხ და იღრინება.

1966



\*\*\*

ვარსკვლავებით დახუნძლული –  
იძირება მთვარის გემი,  
არსაიდან ელის იმედს.  
ზღვის დუმილი –  
ხმაა ჩემი,  
ქარიშხლების მომლოდინე.

2014



## გერბერებს და გუანჩებს

ატლანტიდის ფსკერიდან

წინაპრის ხმა იელვებს:

— გაჭირვებულ სამყაროს —

გამრავლებას ნუ აჩვევთ!

თორემ ის დღე მოგელით,

რაც ძველ ფინიკიელებს<sup>1</sup>,

ბერბერებს და

გუანჩებს<sup>2</sup>.

1979

1 — ფინიკიელები — (III, IV, V ათასწლეული)  
ალფავიტისა და პირგელი ამბანის შემქმნელი ხალხი  
კოლხეური ტომიდან.

2 — ბერბერები და გუანჩები — ატლანტის  
კატასტროფას გადარჩენილი კოლხთა მონათესავე  
ტომები.

\*\*\*

მოსვლის დღიდან თვალმიპყრობილს,

ცად მნათობებს შორზე –

შორთა,

შვიდ სამყაროს შვიდგზის უვლი.

შენ გეპუთვნის,

ვითა შოთას,

„შვიდთ იყვლიმთა ხელმწიფეთა

ხოტბა სრული.“ (არჩილი).

2014



\*\*\*

საიდანდაც მოვარდნილი

ხმა –

სიკრცეებს ღელვით  
ავსებს

და მესმის მზის მაჯისცემა.

ქარი,

ტალღით მივამსგავსე,  
ზღვის მინდორზე –  
ყვანჯის ცემას\*.

2004

\* ყვანჯის ცემა – ცხენდაცხენ ბურთაობა, ცხენბურთი.



\*\*\*

რა ვუყოთ, თუ ზოგ-ზოგებს  
არც გული აქვთ,  
არც სული,  
ქება არ ემეტებათ აიეტის ასულის.  
შენ ხარ ერთი მეხოტბე –  
კოლხეთის დიდ წარსულის.

1972



## აინგი და პამერები

ათასეულ წლის შემდეგ  
ვუძღვნი ჰიმნს და  
სიმღერებს,  
„იაპონელ „აი“-ნებს<sup>1</sup>  
და კამბოჯელ  
კხმერებს<sup>2</sup>.

1994

1 - „აი“-ნების ენა ბასტურს მიაგავს.

2 - კხმერები - ალბათ კოლხთა მონათესავეები.



\*\*\*

მიდის ქამთა მდინარე

და დღე ისმენს მზის ტირილს,

ცამ რომ ხელი არ ახლოს.

აქეთ –

სიცოცხლე სახლობს,

და გაღმა კი – სიკვდილი.

2009



\*\*\*

საუკუნენი ჩაივლიან გრგვინვით  
თერგისებრ,  
და ვით ბიბლიას, ქვლავ სასოებით,  
ვიდაც დვთის მონა წაიკითხავს  
„კოლხურ ფსალმუნებს“  
და ჩუმად იტყვის:  
ეს ეპუთვნის ვაჟა ეგრისელს,  
მაგრამ ამქვეყნად ეგრისელი იყო  
ნამდვილად,  
თუ ყოველივე მითია და  
არის ლეგენდა?!

2015



\*\*\*

როკვად აღარსად ჩანდა კარავი,  
ელოდი წარდვნას და  
წყალდიდობას,  
მაცხოვარივით ხელთ ჯვარი გეპყრა.  
„კოლხურ ფსალმუნებს“,  
ვით „სჯულის კიდობანს“,  
შენ თეთრ დამეებს სწირავდი მსხვერპლად.

2005



\*\*\*

მრავალშვილთა მომლოდინე,  
უფლის მონა და  
მოშიში,  
უნდა კითხულობდე ხშირად, —  
სიბრძნეს დიდი დავითისას,  
ნიზიანელსა და  
ზირაქს.

1979



\*\*\*

დღეს

ყოველივეს სწვავს შურის და  
მტრობის ალმური  
და ქარიშხლები ქრის აუგების,  
მაგრამ დრო მოვა –  
„კოლხურ ფსალმუნებს“  
ვით „დედა-ენას“,  
შავი ზღვისკარად,  
როცა ცათამბრჯენ ძეგლს აუგებენ.

2014



## ქართული

შინაპართა ხსოვნის ხმა,  
ალბათ შორით უხმობდა  
პოეტ პაოლო იაშვილს,  
როცა „ქარდუს<sup>1</sup>“ ეძებდა –  
ხუთი ათასწლეულის  
იქით –  
ქარდურიაში<sup>2</sup>.

1972

1 – ქარდუ, ქართუ, ქორთუ – უძველესი ქოლხი  
(ქართველი)

2 – პრეიისტორიული ქოლხთა (ქართველთა) სახელმწიფო  
(დაახ. IV ათასწლეული)



## სერდაქს და რშქას

თუ სადმე იყო არაკის და  
სიბრძნის მარცვალი,  
სხვაზე ნაკლებად არც შენს წისქვილს  
უფქვავს,  
მაგრამ რად გინდა, ამის შესახებ  
არ-რა სმენია დიდ ხელმწიფეს  
რეგვენს და გულქვას.  
რადგან არ ცნობდა იგი, თურმე,  
იგავმთხველ  
სულხანს,  
არც მის ბრძენ ვაზირთ –  
სერდაქს და რუქას.

2005



## შარიშხალი ზღვაზე

გარსპოვლავებით ივსება

ზღვა და ცათა

მინდორი,

ტალღა ტალღას მისდევს და

ემატება ზარს – ზარი...

საიდანდაც მოისმის ყივილის ხმა

ფრიდონის,

ელვის წამზე გაკრთება

გელი მულღაზანზარის.

1981



## ასტროიდები

მომავალი დღეები ყიუინით,  
წამით რომ აღარ  
მშვიდდებიან,  
შენი კრწანისი და დიდგორია,  
„პოლხური ფსალმუნები“ –  
ასტროიდებია,  
ათასწლეულთა ცაში რომ იგორებენ.

2015



## ექვრის და ეანნას

ჩამომდგართ შუამდინარეთს,  
ფერი ედოთ მთებს ლილის,  
აღარ სურდათ მზე განა?! –  
ლოცვად დამდგარ ენლილის<sup>1</sup>,  
ექურის<sup>2</sup> და  
ეანნას<sup>3</sup>.

1976

---

1 – ენლილი – ღვთაება

2 – ექური – ტაძარი ნინფურში (შუამდინარეთი)

3 – ეანნა – ქალაქ-სახელმწიფო ურუქის ტაძარი



## დელაპრშა

ვითომცდა არ ხედავენ და  
აღარ ესმით!!!  
განა მართლა ყველა ბრძა და  
ყველა ყრუა.  
მათ კარგად იციან, თუ ვინ არის  
დღეს მსოფლიო პოეზიის  
დელაპრუა.

2009



## სომას და ჰამოას

უკვდავება სიცილად  
არ გყოფნიდა და მიტომ  
ბედმა მასთან გაომა.  
მაინც სვამდი ჩუმ-ჩუმად  
სომასა<sup>1</sup> და ჰამოას<sup>2</sup>.

2000

---

1,2 – უკვდავების სასმელი



\*\*\*

გრიგალი ზღვას აღვიძებდა,  
ეცვლებოდა ცას გუნება.  
დღეს კი ღამე აბოდებდა.  
შენს ფიქრთა ხეს „ფსალმუნები“ –  
სულ ცვიოდა –  
ნაფოტებად.

1998



## ანდები

აქცხოვობდნენ ოდიდან  
და კოლხეთს ხელს ადებდნენ  
მთები...  
მაგრამ წავიდნენ –  
მიწა აღარ იქმარეს!!!  
მაინც არტე<sup>1</sup> ზღვისკარად  
დაეძებს მისხს ანდების<sup>2</sup>.

1984

---

1 – არტე – მთვარეს ერქვა კოლხურად (ა. ლამბერტი)

2 – ანდები – პრეიისტორიული კოლხური (ქართული) მოდგმის ტომი ანატოლიაში



\*\*\*

შური კლავთ და...

ზოგ-ზოგები

თავს ხელახლა ვერ იშობენ!

შენი დვაწლი ვედარ თვალეს...

სმენას მიტომ იხშობენ და...

იბრმავებენ –

ძალად თვალებს!

2010



\*\*\*

მიმწუხრისას ცის სიღურჯე –  
მიწას ათოვს იებად...  
ნაპირებზე დამსხდარნი –  
ჩუმად წუხან ალები:  
ქარის აგრიგალებას  
და ზღვის ათოლიებას.

1969



\*\*\*

საიდანდაც ხმა ისმის:

— ამ ცხოვრების ყანაში,  
შენც იგივე მოგელის —  
რაც დიდ ფიროსმანაშვილს,  
გან გოგის და  
გოგენის.

2009



## ရောဂါး

မျှောက်ဖွဲ့စည်းသူများ  
ကြောင်းပေါ်မျှောက်ဖွဲ့စည်း  
နှင့် အမြတ်ဆုံး လျော့လျော့  
မျှောက်ဖွဲ့စည်းသူများ၊  
မျှောက်ဖွဲ့စည်းသူများ၊

1979



## პოლიტიკურ ლეგენდებს და მითებს

ვერ იქნა, ვერ განვიკურნე  
და კოლხეთის დიდ წარსულით  
ისევ ისე ავადა ვარ,  
თუთარჩელა დამეს მითევს,  
და ვით ფოთლებს,  
შუბლზე მაფენს –  
კოლხურ ლეგენდებს და მითებს.

2015



## ეპსტათ ოცნებისას, აგო თბილებს

ქართველებს რომ რწმუნისათვის –

არ ემდერათ მზე და

„ლილე“,

ქრისტეს ფრჩხილის მკვნეტელებმა,

გადუქციეს დღე კი დამედ:

ევსტათ მცხეთელს<sup>1</sup>,

აბო თბილელს<sup>2</sup>

და ასურელ წმინდა მამებს.

1969

1 – ევსტათ მცხეთელი – სპარსი

2 – აბო თბილელი – არაბი



\*\*\*

ეხეთქება ნაპირს მტკვარი  
და არაგვის ვისმენ ხმაურს  
და ჩოჩქოლი მთებმაც შექმნეს.  
გჭვრებ: ყურყუთას ბნელ ჭალაში –  
მოდარაჯე კოლოტაურს,  
სააკაძის  
გითომ ტყვედმქმნელს.

1983



\*\*\*

ბევრ დიდ მეფეს და  
კუთხისარს,  
ხსოვნისა და უპვდავების  
კარი ჩუმად მიხურვია,  
მაგრამ შენ კი დავიწყებას  
კლანჭებიდან გამოსტაცე –  
ან მარე<sup>1</sup> და ფიხუნია<sup>2</sup>.

1996

1 – ან მარე (ცის ქაცი) – კოლხეთ-ქიმეთის (ებებიბე) მითიური ხელმწიფე (5185 – 5120)

2 – ფიხუნია – კოლხეთის, აიგტის წინარე მეფე



\*\*\*

უკან დარჩა ზღვები და  
პერკულესის სვეტები...  
ხელისგულზე გიწყვია ცხრა კი არა,  
ცამეტი,  
სვეტი... არრას ამეტებს  
შენ კი მაინც კოსმიურ –  
ბნელში დაეხეტები  
და დაეძებ უხილავ სფეროებს  
და პლ ა ნ ე ტ ე ბ ს...

2014



## დევების სასაფლაოზე

არაგვისპირას მწუხერისას,

მოვა ქარი და

ქაოსი,

ცაზე ქუხილსაც დაურთავს...

და იქვე მიგრიაულთას\*,

წამს გაიელვებს კოპალა,

დევების სასაფლაოზე.

1974

---

\*მიგრიაულთა – სოფელი ფშავში



\*\*\*

„იქ უცხო მხარეში ალბათ მომელია...  
ტერებები გრანედი

ელის წმინდა ს ა მ ე ბ ა  
და მას გრაალი ელის...  
ბნელში ელვა დაეძებს  
და მოისმის ნათლის ხმა:

-გ-რ-ა-ნ-ე-ლ-ი...  
გ-რ-ა-ნ-ე-ლ-ი.

1966



## გრაალის მცველ რაიონებს

მძვინვარ საუკუნეთა

ბევრჯერ წაგდია აუგი,

რადგან „გონი“ წარსტაცეს

ადამს...

და არ დაინდეს!

შენ კი ძეგლი დაუდგი –

გრაალის მცველ რაინდებს!

2005



## მამული

დილის მზისებრ ამაყი,  
მარადის თავმომწონე,  
აი, რაა მამული! –  
სულიშმინდის –  
კოცონი,  
ცეცხლი –  
მარადეამული.

1977



## მარდუქი

მოვლენ საუკუნენი  
და შენზე ჯავრს იყრიან,  
რადგან სდევ სისადავეს,  
ვითარც მარდუქს,\* გიპერია  
„ცის და მიწის  
სადაგე!“

2013

---

\*მარდუქი – სამყაროს ბატონი, ბაბილონის პანთეონში.



\*\*\*

მზე კი არა,  
სამყაროს  
უფლის ნება აალებს,  
სადაც რომ მეცამეტე –  
სინათლის ცის კიდეა,  
და... შენ იქ ჭვრეტ გრაალის,  
როგორც კაცობრიობის  
რწმენასა და  
იდეალს.

1993



## ဝောဇ် ဗျာနိ ရှာ အမြတ် ဝါယဉ်

ဒုက္ခရာရာသံ အကြောင်း ပျောမတာစွဲလာ  
ရှာ ဒုက္ခရာ ပြား -  
နေပါန်း -  
ဒုက္ခရာရာသံ မဖွေ့ကြ ဘုရား ရာမိန္ဒာ -  
ဝောဇ် လာနိုင်သာ ရှာ  
ဒုက္ခရာရာသံ အကြောင်း ပျောမတာစွဲလာ.

1980



## მარდუქი<sup>1</sup>

სანამ ათასწლეულთა

ოქროს კარებს მიხურავ,  
ენქი<sup>2</sup>,

მუდამ გახსოვდეს! –

ნაშიერი ზევსისა.

ოთხ-თვალავ და ოთხ-ყურავ,  
„ძევ მზისა და  
მზევ – ცისა“.

1979

1 – მარდუქი – ღმერთების მეფე, სამყაროს ბატონი – (IV – III ათასწლეული) ბაბილონის მფარველი

2 – ენქი – (ეა) შემქრთა ღვთაება, შემდეგ კოლხეთის სახე



\*\*\*

ადამის ძის ნაშიერებს  
ბაღში მდგარმა  
ცნობადის ხის  
კბილი მოსჭრა ნაყოფმა.  
შენი ყოვნის –  
მაღალ ხესთან,  
რა ხელი აქვს არყოფნას?!

2009



## კარდუ

ოთხი ათასწლეული  
წევს იქიდან –  
აქამდე,  
როცა კარდუ\* მეფობდა –  
შუმერსა და ბაბილონს,  
კასიტსა და  
აქადის.

1984

\*კარდუ – პრეისტორიული (ლაზ-მეგრელთა)  
ქვეყნისა და მეფის სახელწოდება (ძვ.წ. 1595 – 1155)



\*\*\*

რასაც ცაში ეძებდა  
ნახა,  
სწორედ ის არის!  
მიტომ შურის ისარი,  
კიდევ ბევრჯერ იწივლებს,  
რადგან ნამაისარი,  
ხმები უდგათ მის ებანს,  
ბარბითს,  
ნასს და წინწილებს.

2010



## უფლის ქანა

ბიბლიიდან მზის გზით მოსულს,  
აღარ დაგკლებია ჯვარცმა  
და ყელს მიძღენილი დანა.  
მაინც თესდი სიბრძნის მარცვალს,  
და ხარობდა —  
უფლის ყანა.

2003



\*\*\*

იდგა ქამი,

რომელიც უფლის ჭერს

გარიდებდა,

ქროდა ქარი ველური...

მორჩა!

ღმერთი ავგუსტის

თუა „ჭეშმარიტება“!

შენი გახლავთ „ქართული სიტყვა“

რუსთაველური.

1979



\*\*\*

მეტი რა ქნას პოეტმა,  
ებრძვის ჟამთა ქარიშხალს,  
თუმც დრომ ბევრჯერ  
გათვალა...  
ერთიცაა...  
საწყალი,  
შურს ვერ უძლებს ცალთვალას.

2014



## ლეონარდ ულლის

იდიგნას<sup>1</sup> და ბურანუნის<sup>2</sup>

ნაპირებზე შუმერთა ხმა,

ისევ ისმის საამური,

რომელიც რომ მთელ სამყაროს

სიხარულის ჟრულად უვლის

და... ამოჰყავს ქვესკნელიდან

ური<sup>4</sup>...

ლეონარდო ულლის<sup>5</sup>.

1979

1 – იდიგნა – ტიგროსი

2 – ბურანუნი – ევფრატი

3 – შუმერი – ქართველთა წინაპარი

4 – ური – ქალაქი-სახელმწიფო (ძვ.წ. 2750-2315), ქვემო  
მესოპოტამია

5 – ლეონარდ ულლი – ინგლისელი არქეოლოგი,  
რომელმაც ურის გათხრების დროს ოქროს, ვერცხლისა და  
სხვა უამრავი განძეულობა აღმოაჩინა



\*\*\*

ცხოვრების ათას დარჯაპგამოვლილს,

ქამთა ტრიალი გეღარ

გაშინებს!

ხობისწყლის პირას –

პარას ჭალაში,

ზიხარ და რწმენის უსვამ

შალაშინს –

ოცნების დღეებს აშალაშინებ...

2015



\*\*\*

ქმად მიხმობ,  
მაგრამ მე ვიცი,  
ქეშ-ქეშ ფარულად მეძრახვი\*.  
და ფერი გადევს ნისლის.  
არყოფნა  
ყოფნას ეძახის:  
ვნახოთ! –  
აჯობებს ვინ – ვის!

2014

\*ძრახვა – ძაგება, განქიშება, აუგის თქმა



\*\*\*

შესციცინებენ ცისქვეშეთს

და მთვარის აკვანს არწევენ,

დღეები მიჰყავთ წელკავით.

ზოგ-ზოგნი ლექსებს არ წერენ,

„ასპიტის კვერცხებს

ჩეკავენ.“ (ესაია).

2009



## ტალღა

ზღვა –

გელია მარათონის,  
შაირ-მოხუცელთა არ არს ტევა,  
არ ეტყობათ მგოსნებს დაღლა....

და... მოადგა ნაპირს

ტალღა:

- გაიმარჯვა ეგრისელმა! –

თქვა და სული განუტევა.

2010



\*\*\*

დავიწყების ბილიკებით,  
ზამთრისაგან გათელილი  
თებერვალი მარტებს მისდევს...  
და „იქმენინ ნათელი!“ კი,  
წიგნი არა,  
ტაძარია, —  
არტემიდეს (ძვ.წ. VII)

2009



## არგადია

ჰელიოსის თვალებიდან –

ცისკრისას რომ მოწანწყარებს –

ოქროს სხივთა ნაკადია.

და... კოლხეთი –

მგოსანთ მხარე,

არის ჩემი არკადია\*.

1969

---

\*არკადია – „საბერძნეთის სამოთხე“, პოეზიის საფანე



\*\*\*

შოორს,

ღამის მიღმა თვალებს

ახელდნენ –

ღრუბლები ელვით გასანასკვავი.

მუხლებში ედგათ შიშის

ქუხილი.

და მომეჩვენა –

ცის მინდორზე დაყრილ

ვარსკვლავებს,

წუმად კუნკავდა დამე კრუხივით.

1962



\*\*\*

სადღაც ათასწლეულების –  
პოეზიის ოქროს სხივი,  
უსამანოდ მზეს სცვიოდეს! –  
წვეთი აღარ დააკლდება –  
გერგილიუს,  
პორაციუს,  
პომეროსს და  
ჟესიოდეს.

1993



\*\*\*

დღის და ღამის სამჯედლოში,  
მნათთა ცეცხლზე გაწრთობილი,  
მზეა ჩემი ფარ-შიმშერი,  
მთვარეც მიჩანს ფარ-შიმშერად.

მე

სიცოცხლე რას მიშველის,  
თუ სიკვდილმა არ მიშველა!

2014



\*\*\*

ისტორიის მინდორი,  
როგორც სათეს-სახნავი  
გელოდა... და ხელები  
გედო ჟამის აღვირზე  
და მძინარე კოლხეთი,  
როგორც მზეთუნახავი,  
პონტოს სანაპიროზე ჩუმად გამოაღვიძე.

2001



## პხრითონ და ცეკვერტითი

სიყვარულის უძღვის ღმერთი  
და გზით ათასწლეულების –  
სული გგვიპტისკენ ილტვის,  
სადაც ერთდღოს მეუფობდნენ –  
ეხრიტონ და  
ნეფერტიტი.

1987



\*\*\*

იბერიის მთიულები

ომს მისდევენ ისევ ისე, —

სტრაბონის მწირ განმარტებით

და...

არაგვთან ჩურჩულს ვისმენ —

სკვითების და

სარმარტების.

1969



\*\*\*

ქაოსიდან ამოვიდა

და არასდროს აღარ ჩავა

მზე,

მზის შვილთა,

მზით მოსილთა —

ლეგენდარულ ქალდეველთა,

მოსულთ —

კოლხურ მითოსიდან.

1974



\*\*\*

ის წევილი ვარსკვლავი –  
თამარის ქოშებია,  
ბუმბული რომ შვენით არწივის.  
„პოლხური ფსალმუნები“  
მითებით შეფეთქილი  
და ცამდე აწევდილი  
სვანური ქოშკებია –  
ნაგები დალის და ბეთქილის.

1995



## მოქვის ჭაპარი

ჩემი ზღვა და აფხაზეთი

უნდა მოვილოცოთ ჩოქვით,

რომ ჟამთასვლის ურა ჰუნემ, –

აღარ გადათელოს ფლოქვით

და...

ტაძარში\* კვლავ ესვენოს

ძველი სახარება მოქვის.

1992

\* მოქვის ტაძარი – (957-967) ააგო ლეონ III-მ



## გაშასა და გალაპტიონს

მოსვლის დღიდან გალავს სურვილი,  
რომ მათი ცის მაღალ ჭერქვეშ –  
დამები გაათიო.  
და...  
შენს სიგრძე სანთელს უნთებ –  
გაჟასა და  
გალაპტიონს.

1966



\*\*\*

მზის და მთვარის მახვილით,  
ბებერ ჟამთან იომე,  
სულო, მაინც არ ცხრები...  
შენს ძეგლს, დიდო პოეტო,  
მთები კავკასიონის –  
მწამს ექნება კვარცხლბეკად.

1999



\*\*\*

ბაბილონის გოდოლს აგებ,  
ჯერ ვერავინ გირევს ენას,  
თუმც დღეები ლებე ბინდად.  
შენი ციდან მოქუხს რწმენა,  
ვით ჩანჩქერი –  
თებეს მთიდან.

1984



## ბა, ბაცი და ზადენი

თუ საიდან მოვიდნენ,

ქართულ თქმულებებში და  
ლეგენდებში,

მითებში,

გვალს ვერ მივაგენი:

ითრუჯანის<sup>1</sup>, არმაზის<sup>2</sup>,

გას<sup>3</sup>,

გაცის<sup>4</sup> და ზადენის<sup>5</sup>.

1969

---

1, 2, 3, 4, 5 – ქართველთა წარმართი ღმერთები.



## პაპადოპიაში

არც ნინო ჩანს,  
არც გიორგი,  
და ლალისის ნაპირებზე –  
    წარსულ დღეთა შავი ქარი,  
    ისევ ჩუმად დახარხარებს...  
მე, ქედებს შუა ტავრისა და  
    ანტი-ტავრის,  
ვჭვრებ ქართველთა ნასახლარებს.

1980



\*\*\*

სულინმინდის მონაბერი,  
როს დაქტროლა ციგმა ქარმა,  
და ტალღების –  
ატყდა ტაში...  
შენც,  
ისე, ვით მაცხოვარმა,  
გაიარე მღელვარ ზღვაში.

1993



\*\*\*

ქართული სიტყვის დიდების,  
აღარსად ჩანს ღალატი,  
თუმც ჯარია უთვლელი.

(ხარ უღვთოთა მგმობელი!)

„კოლხურ ფსალმუნებშია“

- დაწყებული რუსთველით,  
ხონელით და თმოგველით -

ეგელა...

დამთავრებული -

გაჟათი და გალათი.

1974



## გარდა შენ და ფაზისის

როგორც ქვეყნად არავინ,  
შენ იცოდი ფასი მზის  
და ვარსკვლავებს ხვდებოდი,  
ისე, როგორც შენიანს...  
და ამიტომ ქოლხეთის ხსოვნა –  
ამ ცისქვეშეთში,  
გარდა შენ და ფაზისის  
სხვას აღარ შერჩენია.

1987



\*\*\*

(ძმის – ავთანდილის ხსოვნას)

როცა გავა „ორმოცი“,  
გარდაცვლილთა სულების  
ისმის ჩუმი ხორხოცი...  
სადღაც მოუსავლეთში,  
სადაც არის ცის ორმო,  
უფრო სწორად ორმო-ცის.

1983



\*\*\*

აიეტივით შენ ხარ მზის შვილი  
და მთვარისაგან ხარ მონათლული  
და ვარსპელავები —  
შენი და-ძმები,  
რომ სადმე ერთიც არ დაგეპარგოს,  
სულ სათითაოდ  
შენ გყავს დათვლილი.

1989



## გარსპოლავები – იდიოგრამები

ცას მოუშვია დრუბელი –

ქათქათა,

უფლის წვერივით.

შორით მთვარე მოჩანს ეფუთივით.

ვარსკვლავები –

იდიოგრამებია,

არსობამრიგის ხელნაწერით და

იდუმალებით შეფუთვნილი.

2005



## მიქელსა და გაბრიელს

„სამოედო ეჭმაკი (ქვიდან ამოხტება),  
ღმერთს ყანერატოში წელება  
და დახრხობას უძირება“.

სანქტი თქმულება

კოხოვ, ჩემს ანგელოზებს:

მიქელსა და

გაბრიელს –

მტერს და რისხვას წარმართოა

შემახვედროს სამოედს –

(ღმერთის შეურაცხმყოფელს).

სული რომ ამოვართვა.

2000



## სარგონ მეცნ

– მივეც ცეცხლს და გენიას –

მუსკის<sup>1</sup>,

მესხის<sup>2</sup>,

ტაბალის<sup>3</sup>,

სახლ-კარი და საბძელი,

რაღგან გედარ მივიღე

მათგან საქმე სარგონი.

და მეც, როგორც თიგლათმა<sup>4</sup>,

თავები სულ წავსხიპე:

თავმოკლეებს<sup>5</sup>,

თავგრძელებს<sup>6</sup>,

სადღაც, მიუვალ კლდეზე,

აწერს მეცე სარგონი<sup>7</sup>.

1978

1,2,3 – ქართველური ტომები

4 – თიგლათ – პილასარ I (ძვ. წ. 1,100) ასურეთის მეცე

5 – თავმოკლეები – დოლიხო კეველები (არაქართველები)

7 – სარგონი – ასურეთის მეცე (ძვ. წ. 722-705)

\*\*\*

თუკი ვსდიეთ თქმულებებს,  
მითებსა და  
ლეგენდებს:  
ღმერთთა შორის პირველი  
არის წმინდა გიორგი,  
ვისაც ყველგან ელიან...  
მერე კი „შემოქმედი“  
და მესამე ელია.

1984



\*\*\*

მეხის დახნულ ცის მინდორზე,  
ღამე მთიებს  
ისევ თესავს...  
ჩანან რწმენის მწვერვალები.  
სიტყვას სიბრძნის  
ქვაზე ლესავ,  
რომ ხმალივით ელგარებდეს...

1972



## ქალდებსა და იპერებს

„ყველა ქართველი ტომების  
სამშობლო, როგორც ვიცით, ქალდება იყო“.  
ივანე ჯავახიშვილი

იყო დრო,

როდესაც სამყარო

ხელთ ეპყრათ ქალდებს და

იბერებს,

ებურათ მთოვარის ტიარა,

ეჭ, მერე, ვინ იცის, სად დაივანეს!

თუ გზაზე უწიათ სიბერებ!

და ვითარც ბრძანებს ივანე,

მას შემდეგ: „ბევრმა კოკა წყალმა

ჩაიარა“...

1980



## ზაღენი და არმაზი

წარსულ დღეთა ბილიკით  
მცხეთას როცა ჩაგუვლი,  
მთიდან შემომანათებს:  
ზადენი და არმაზი –  
წარმართების ნაქსოვი,  
ქართლის პრეისტორიის  
გახუნებულ ნარმაზე.

1979



\*\*\*

ახალნაყარი სკებივით –  
გზები ისევ ირევიან...  
და ყველა გზა,  
რომში არა,  
ღმერთთან მიდის...  
ახლა წვიმს და...  
შენ უფალთან გადადიხარ –  
ცისარტყელას ფერად ხიდით.

1971



\*\*\*

უკვდავების მდომელმა,  
„კოლხური ფსალმუნებით“  
სამყაროს გარს უარე,  
ისე, როგორც პომელმა,  
მასპერომ და  
გუარმა,  
მძინარ „განის წარწერებს“.

1974



\*\*\*

ვარსკვლავების სიშორე

გათოვს,

ვითა გათოვდა...

მაინც ცისკენ იურვი, —

საიდანაც მნათობთა, —

ისმენ უვერტიურას.

1977



## პიპათია

პროფ. ლუარა სორქიძიას

ქრისტესა და ოწმენისათვის

ღამეები –

ვინც ათია.

გნოსტიკოსთა მსხვერპლი გახდა,

პროტაგორას –

მიმდევარი,

უფლის მონა პიპათია\*.

1995

\*415 წელს ფილოსოფონი ქალი პიპათია ურწმუნო  
გნოსტიკოსებმა ნაწილ-ნაწილად დაგლიჯეს



\*\*\*

მოქმიოთ ხელ-ფეხ შეკრული,  
მხრებს ვერ შლიდა არაგვი,  
მტკვრის ამბორის მსურველი.  
მცხეთის სანახებში კი  
მწუხარს გალობდა ბულბული,  
მაგრამ ხმადაკეპილი,  
იყო უსულ-უგულო,  
არმაზ ღმერთის კერპივით.

1969




## პლინიუსი და პტოლემე

ისტორიის ამაყ მამებს,  
 თუკი დავუჯერებო ხოლმე,  
 რომ კოლხეთი ეკუთვნოდათ  
 მხოლოდ მეგრელებს და ლაზებს –  
 ამგვარად წერს პლინიუსი<sup>1</sup>  
 და პვერს უკრაგს მას პტოლომეც<sup>2</sup>.

1974

1 – პლინიუსი – რომაელი მწერალი (I b)

2 – პტოლომე – ბერძენი მეცნიერი (II b)



\*\*\*

რადგან გინთია მაღლის კოცონი,  
უზეშთაესის ხარ შეცნობილი,  
ლოცვით მოეგელი –  
მზიან ღამეთა...  
შენი სიშორე ცეცხლს უკიდებს  
ციურ ცდომილებს,  
თანამსრბოლი ხარ მოციქულთა  
და მოწამეთა.

2009



\*\*\*

ადრე სხვა იყო...

ზღვები

მთების ჯიდებს იცემენ

გულზე და თვალი ცრემლით ევსებათ...

ადრე სხვა იყო...

ცა იყო მიწა,

ვარსკვლავები კი იყო ხეთა –

ოქროს ფესვები.

1977



\*\*\*

ჩემს ხორგაში ვარ,

აწ მხცოვანი

და აწ ხნიერი.

თან მახლავს ჩემი ვაჟა და ნატა.

ვამია მწუხარის...

მიუყვება შუკას ნახირი.

ჩემს ნასახლარზე აფრინდა ყანჩა...

— ვაჟა!

ვაჟა! —

უცებ მესმა დედის ძახილი,

დედა კი...

არ ჩანს!!!

2013



\*\*\*

ან მარეს<sup>1</sup> და აიების<sup>2</sup> –

დიდ კოლხეთის და

ქიმეთის,

ღობე-ყორეს კვლავ ვედები.

მჯერა მათზე თქმულებების,

მითების და

ლეგენდების.

1979

---

1-ან მარე – კოლხეთ-ქიმეთის (გგვიპტე) მითიური მეფე  
(5185\_5120 წვ)

2 – კოლხეთის მითიური ხელმწიფე (XIV-XII წ. წვ. წ. აღ)



\*\*\*

სიცოცხლეში აღარ ძალუქს მენცარს,

თქვას წინდაწინ –

ვის რა ბედი ელის,

ან უძილოდ სიზმარი რომ ახესნას.

იოლია ჯოჯოხეთში ჩასვლა,

სამოთხემდე ამაღლება – ძნელი.

2004



\*\*\*

## ဝျော် လုပေါင်း

အလာရစာတ ၌ဒိမိမီး ချော်ဆာ-ချော်ဖို့  
ကျော်၊

အရှင် သိန္တာ。

ဇရာ နှေ့လာ မိုးစုံ...

အလာရ ဗျား...

ဇာ...

ရာ သာနာ မားရှုံး –

သာသိန္တာ၊

ရာမာ မားရှုံး – ပြုလုပ်း

ဂာရဲ့ကျော်ဆုံး –

သူ့လာ မိုးစုံစွား.

1987



\*\*\*

მზე გველეშაპს გადუყდაპავს  
და მთვარეც გრძნობს  
შენს სიცივეს!  
დღე და ღამეს ჭვრეტ ვით ორ ზღვას,  
და...  
ცა თვალში შეგციცინებს,  
ვით სამყაროს ხუროთმოძღვარს.

2010



\*\*\*

ათასწლეულების მერე,  
მათზე შური რომ ეძია,  
ჩემმა ჟინმა სდია ოხრებს\*,  
მათ, ვინც ყოფნა გაუმჯარა –  
კოლხებსა და  
დიაოხებს.

1978

\*ოხრები – იგულისხმებიან ასურელები და კიმირიელები



## ქალდეგელთა ქვეყანა

შემოდგომით ისმოდა –

საამო ხმა "ნადურის"...

(ხვავი ოქროდ ეყარა...)

დღე – მზე დაჩახახახებდა,

დამით – მთვარე "ქალდური",

ზღვიდან – ზღვამდე გადაშლილ –

ქალდეველთა ქვეყანას.

1979



\*\*\*

წარმავალია ქვეყნად ყოველი,  
ოგით ცაც,  
რომ იქნევს  
მთვარის მარაოს,  
მხოლოდ სიკვდილი არის უკვდავი!  
სხვა დანარჩენი ჰაერია და  
არარაობს,  
მაგრამ შენა ხარ მზის ნაშიერი  
და მზე გმფარველობს  
პოეტ-ფარაონს.

2012



\*\*\*

ქარიშხლის ძახილზე ტალღები,  
ჯერ ნაპირს დაეყრდნენ

იდაყვით  
და მერე, ისე, რომ არავინ ელოდა,  
ნაპირთან ინახად –

წაწოლილ ქვა და ლოდს,  
ამოჰკრეს პანღური,  
პანჩური,  
ჭიტლაყი.

1971



## ნაირის და გიანას

წარწერებში ხმა ისმის შორი  
და საკვირველი,  
რომ ქვეყანა ნაირის,  
ურარტუს და ბიანას,  
იყო ქალდი ხელმწიფის –  
ტუკლატ-ადარ პირველის\*  
სამფლობელო მთლიანად.

1981


\*ტუკლატ-ადარ პირველი (1275 წ. წ. აღ)



\*\*\*

ათასწლეულების მერე,  
ისევ ჩუმად ვიჭვრიტები  
ისტორიის ფანჯარაში,  
ვხედავ: ასურეთთან მებრძოლ:  
ხეთელ მეფეთ: დიდ ტუშრატის,  
და ტარშუადარაშის.

1979



## პონტოს სანაპიროზე

მითებიდან მოსული —

პონტოს სანაპიროზე —

მიჰყვები არხეინად

კოლხურ სიბრძნით დახუნდლულ, —

ძველი ისტორიის და

ლეგენდების ხეივანს.

1979



## მატიტელა

გვირილები ფართო თვალებს,  
წამით ადარ აშორებენ,  
ის მინდორზე დგას  
ტიტველა,  
და არაფრის არ რცხვენია,  
პირმშვენიერ მატიტელას.

1966



## ორი ვაზა

ვით ღვთაება "ოდოიას",  
ვიდაც უმდერს –  
"ორირაშას",  
რომელმაც მზის საქართველოს,  
ერთი – მთიდან,  
ერთი – ზღვიდან,  
მოუვლინა ორი ვაჟა.

1994



## უდები

ვით ზღვისკარად მცხოვრებ ჯიქებს  
ადრე...

ლოცვით დამენათევთ,  
ქართულ ხეზე მათ აქვთ ბუდე,  
და...

ვით ქარში მბუტავ სანთელს –  
დამე ელოდებათ უდებს.

1998



## პოლიტიკური და ფინანსურული

საქართველოს –

"კოლხეთის

ისტორია" მოპარეს,

მაგრამ ვეღარ წაიღვეს:

აიეტის "ქვეყანა"<sup>1</sup>,

კონდაკი<sup>2</sup> და ტროპარი<sup>3</sup>.

1979

---

1 – იგულისხმება "ოქრომრავალი ქვეყანა" – (აპოლონიოს როდოსელი)

2 – კონდაკი – (ბერძ.) საექლესიო წიგნი

3 – ტროპარი (ბერძ.) საგალობლები



\*\*\*

კვლავ ეხვევა მუხას მუმლი,  
ანგელოზთა სახელით.  
და შენს "კოლხურ  
ფსალმუნებში"  
მთვლემი ბევრი საიდუმლო –  
ელის თვალის ახელას.

2001



\*\*\*

მუხლმოყრილი დგანან მთები:

აქეთ — ეკის,

იქით — ურთას.

მწეხრი მთიებს კვლავ გამოფენს,

ზედ მედეას ჯადოს

ურთავს,

და კოლხეთის ზეცა მოპბავს —

ხატს ოპიზრის ხელით ნაჭედს

და სასწაულს —

სასწაულთა.

1969



\*\*\*

მაშინ,

მითავამში თურმე,

კოლხეთს არა,

მოელ სამყაროს –

(კვლავ გვიყვება პაპა იგავხს)

განაგებდა ტყუპისცალი –

ეგრი,

გმგა,

გოგა,

გიგა.

1969



\*\*\*

სადღაც გალაქტიკაში,  
კვლავ დამეა მზიანი  
და იქ თეთრი მტრედივით –  
სული ჩუმად დაგოგავს:  
დიდი მოდილიანის,  
და ბრძენ ვინსენტ ვან გოგის.

1971



## ბასილ დიდის პომილიებას

არსოვამრიგეს სანთლებს უნთებ,  
ფსალმუნს გალობა...  
მაგრამ მაინც,  
საქმე ვეღარ მოილიე...  
და ვით ლოცვებს,  
კვლავ ჩურჩულებ  
ბასილ დიდის პომილიებს.

1969



\*\*\*

ამაყად და თავმომწონედ,  
საიდანლაც ვიღაც ყივის:  
— ეს იქნება დალატიო,  
ოუ "მეოთხეუ" არ მიუხვალ —  
შოთას,  
ვაჟას,  
გალაპტიონს.

1999



\*\*\*

ორიოდ ლექსი შეუბუმბლავი,

სხვა არაფერი!

ხმალი,

არც ფარი.

სამყარო თურმე დიდი წრე არი.

და შენი სული –

ვარსკვლავია მიუსაფარი,

სადღაც ცის ფსკერზე –

მარტოდმარტო რომ დარიალებს...

2001



## ენგურსა და ეშარას

სადღაც დამის უღრანში,  
როგორც ნათლის დვთაება,  
მიჰყვებოდა მზე შარას.  
რომ მარადის ებრწყინა –  
ენგურსა <sup>1</sup> და  
ეშარას <sup>2</sup>.

1976

1 – ენგური – დვთაება მარდუქის მიერ აშენებული  
ტაძარი (IV-III ათასწლეული)

2 – ეშარა – დვთაება ენქის მიერ აშენებული ტაძარი  
(IV-III ათასწლეული)



\*\*\*

სამოთხის მაღალ კარიბჭეს,  
უნდა იჩქითად მიადგე!  
მის მცველებს, ოოგორც  
ფშაველამ,  
შენც ბევრჯერ მტვერი ადინე,  
რადგან არ ცნობ მათ  
იადგრებს  
და არც ცრუ კარაბადინებს.

1978



\*\*\*

თუმც ახლო იყო არსთაგამრიგე,  
შენ კი სიშორის გწვავდა  
ალმური.  
შემოდგომის ცაჲგავდა ნაწვერალს.  
და...  
მოკლე იყო შენი "ფსალმუნი",  
ვით ტარკუდიმმეს\* ბეჭდის  
წარწერა.

1971

\*ტარკუდიმმე – ხეოვნის მეფე (ძვ. წ. აღ. XI-X სს)



## გოლიცია და იგერებს

მეცხრე ციდან მოსულებს,  
მთვარის არა,  
მზის შვილებს –  
კოლხებსა და იბერებს,  
ახლოს არ ეკარებათ –  
სიპილი და  
სიბერე.

2001



## არშის ციხე

შაპის "შაპსევანები"\*

ქართლელებს და კახელებს,  
ექცეოდნენ უხამსად.

აბასს "გურჯისტანი" კი

სიზმარშიც აბოდებდა.  
და... არაგვთან მიმოყრილ  
ლოდებს ეხლაც ყრუ ხაგსად –  
ტანთ აცვიათ სპარსელთა  
მოთქმაცა და  
გოდებაც...

1981

\* შაპსევანები – შაპის მომხრეები,  
ერთგულები, შაპისიანები



## მგოლის სული

ცით ჩამოსულს –

კლავს სიშორის ხვაშიადი  
და მითიურ უცხო ფრინველს  
ემსგავსის.

არ "რა"-ს ნავით,

არც მზის ეტლით,

როს მოკვდება...

მგოლის სული

ცაში ადის –

პოეზიის ოქროსფრთიან პეგასით.

2001

\*"რა" – მზის დვთაება



\*\*\*

დაკანკალებდა სიცივე,  
თუმც დამის შუა  
კერასთან  
იწვა ცეცხლი, ვით მოზვერი,  
რომელმაც სული ჩაპბერა  
თიხას,  
უფლისგან მოზელილს.

1969



\*\*\*

მარადისობას გამოქცეული,  
ჯოჯოხეთში და სამოთხეში  
ერთად ნამყოფი,  
მსურს შევეყარო, როგორც ცხრა-უცხოს –  
ჩემი სიცოცხლის პირმშრალ  
არყოფნას,  
გაჲ,  
თუ წყურვილი  
გედარ დავუცხო!

2009



## ჯგარს აცვით ებე

მოძმეთა შენთა ისმის ყაფანი,  
ვიდაც გაჰკივის,  
ვითარცა შლეგი:  
— ის პოეზიის ფეოდალია  
და არის ბეგი,  
"ჯგარს აცვით ებე!"

2014



\*\*\*

გეხურა ელვით ცა დაკემსილი,  
და მთა და ბარად  
კეთილ მწყემსივით,  
ეჟა, რამდენი ისალამურე, –  
ლექსთა ტომები –  
დადგი გორებად!  
ალბათ სიკვდილი გეამბორება,  
როცა იხილავს –  
"გოლხურ ფსალმუნებს".

2002



## კოლე-ქალდების იმპრია

„იბერია იწყება კოლხეთით, კოლხეთშია  
ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის  
სათავე“  
ლევან სანიკოძე

დაწყებული სინყარიდან<sup>1</sup>,  
ქიმეთით<sup>2</sup> და ბაბილონით,  
დაბები და ქალაქები  
კოლხთა ხელით ანაგები  
გაქრა...  
რადგან ყოველივე  
შორეული მზის მტვერია.  
მაშინ მიღეთს განაგებდა –  
კოლხ-ქალდების იმპერია.

1986

1 – სინყარი –თანამედროვე ერავი

2 – ქიმეთი – ძველი ეგვიპტე

\*\*\*

გზას გიახლოებს უფალთან

სიმაღლე –

სვეტიცხოვლისა.

ესეც ჩინ ქვაზე სწერია:

"მოყვარე მტერი ყოვლისა

მტერთაგან უფრო მტერია".

1997



\*\*\*

მზე ჩავიდა..

ზღვისპირ მწუხარმა,

ალბათ,

მოვარე შეიპირა,

ცა თვალებს კვლავ ახელს ლურჯად.

პატარა ბუჩქს –

ღელის პირას,

ია ხელში ჩაუბლუჯავს.

1961



## ხილვა: ენძიღუ და გილგამეში

ათასწლეულთა ღვინით გალეშილს,

სადღაც,

უსიერ ტყიდან კედრების,

სიკვდილნარევი მესმის ვედრება –

ველურ ენქიდუს

და გილგამეშის.

ურის სამეფოს ვჭვრებ დარჩელივით,

და... შენც,

ვითარცა უთანაფიშთი\*,

ბევრ წარდგნასა ხარ გადარჩენილი.

2015

\*უთანაფიშთი – წარდგნას გადარჩენილი ერთადერთი ადამიანი. "გილგამეშის ეპოსი" (ძვ. წ.აღ III ათასწლეული)



\*\*\*

არავინ იცის, რა გველის,  
ჯოჯოხეთი თუ  
ცხონება!  
მოსვლა წვიმად თუ ფიფქებად.  
რა არის კაცის ცხოვრება,  
აქ – რაა,  
იქ – რა იქნება!

2007



## ამაღლება

ზოგ-ზოგები ედებიან ღობე-ყორეს,  
შერი ჰქლავთ და  
არის დავა:  
რომ ვმაღლდები...  
და ვარსკვლავებს  
ვუწვდი ხელებს!  
ეს იმიტომ,  
ისევ ისე ვიმეორებ:  
მე რუსთველის და ფშაველას  
მხრებზე ვდგავარ.

1973



\*\*\*

ხსენებაც კი არ სურთ ქუჯის  
და სახელი ზარს-სცემს  
— ცოტნე!

სიძულვილის კლდედ მოხეთქილთ!!!  
გიო ვაჟას ორბს, ყვავ-ყორნები,  
ეგრისელო! —

შენ გპორტნიან,  
ჭირისუფალს ძველ კოლხეთის.

2014



## სამშობლოვ ჩემო!

წვიმდა თუ თოვდა,  
არ ვასვენებდი  
დღეებს,  
რომლებიც მახლდნენ მუშებად!  
რადგან მე შენი სიყვარულით  
ვიყავ სნეული.  
ეხლა,  
ალერსი,  
აშ მიმავალს, მეხამუშება,  
სამშობლოვ ჩემო! –  
რადგან შენგან არ ვარ ჩვეული.

2014



\*\*\*

დასავლეთიდან მოვარდნილმა  
სიტყვის ღვარ-ცოფმა,  
იგუმანა დრომ:  
— გაჲ, თუ წამლექოს!!!  
შურმა და მტრობამ აღარ  
დაგინდო,  
რადგან "ქართული პოეზის  
იყავ რაინდი",  
რადგან ქართული პოეზიის  
იყავ "შავლეგო".

2009



\*\*\*

ვინც უდალატა დვთიურ სიყვარულს,

მან მოიტეხა ბევრჯერ

კისერი!

მე კი იმედის ცა ამიყვავდა...

მე ბევრს ვუყვარდი,

ვით ეგრისელი,

და მეც,

ვით პოეტს,

ბევრი მიყვარდა.

2014



## ნაკადულები

შავი ღრუბლები მთის წვერზე –

გროვდებიან და

არ იშლებიან,

მერე ფრთებს კვეცენ ორბიანს.

ნაკადულები ფეხშიშვლები

რომ ჩამორბიან,

მტკვრის და არაგვის ბადიშებია.

1969



## აფრიკა და დმანისი

აიეტის ზღაპრულ კოლხეთს,  
კვლავ უქამო ჟამისაგან,  
ეშინია დანისვლის,  
რადგან მასში ერთად სუფეს  
აფრიკაც<sup>1</sup> და  
დმანისიც<sup>2</sup>.

1998

1,2 – აფრიკაში ადმონიუნიდი ადამიანის თავის ქალა,  
მეცნიერთა აზრით, 2,5 მილიონი წლისაა, დმანისის კი  
– 1,8 ათასისა.



\*\*\*

სიკვდილი სხვაა,  
გითა ებგური\*,  
სრა-სასახლეებს აქცევს ქოხებად!  
ეს საწუთოო კი,  
დღის და ღამის უღელს  
შებმული,  
მის ლა ხელი ნებად...  
და ჩვენს ყოფნას  
მიიცოხება...

2003

\*ებგური – მცველი, დარაჯი, ტალა



\*\*\*

მორჩა!

აშ სხვებმა უნდა მოგხედონ!  
და ყური უგდონ ოქროს ბლავილს  
ოქროს ვერძების...

უფრო კარგი და უფრო ბევრი  
მსურდა, კოლხეთო —

შენთვის...

მაგრამ მე

ამის მეტი ვეღარ შევძელი!

2015



## პელაზბი

ქაოსიდან ამომავალს –  
ფერი ედო მზეს იოდის,  
რათუნდ ჩანდეს საკვირველად!  
თუ წამით დავუჯერებთ  
ჰესიოდეს\*,  
– პელაზბია –  
ვინც იხილა ცა  
პირველად.

1978

\*ჰესიოდე – ბერძენი პოეტი (ძვ. წ. აღ. VIII ს)



\*\*\*

ფიქრი არაგვს აპყვება  
და დარდმოსხემულ ციხეებს,  
აუგლის და  
ჩაუგლის...  
უცებ,  
წამით შეკრთება,  
რადგან ხმა ჩაესმება  
თათრის...  
ბულაჩაურიო!

1993



\*\*\*

მღვრიე ათასწლეულების –

უამურმა ქარმა ზიდა

ხმა,

რომელიც ხსოვნას ჩემობს  
და მოისმის არმაზიდან:

"ძევახ,

სიცოცხლეო ჩემო!"

1963



\*\*\*

გზა გვიძევს მოსაპურცხავი,  
არავინ იცის ამ ქვეყნად,  
გაივლის ვინ და  
როგორა.

მთვარეა —

ცრემლის კურცხალი,  
ცის ლოფაზე რომ მოგორავს.

1967



## გეასა და ურანოსს

ვითარც ესე სამყარო,  
ზეცაც ვარ და  
მიწაც ვარ.  
და თუნდ წარღვნამ სიცოცხლეს  
ცეცხლად –  
გადაუაროს...  
ათასეულ წლის მერე,  
მეც, ვით კოლხი, ვფიცავარ:  
გეასა<sup>1</sup> და ურანოსს<sup>2</sup>.

1971

1,2 – დასაბამიდან კოლხებს – გეა (დედამიწა) და ურანოსი (ცა) – ღმერთებად მიაჩნდათ.



\*\*\*

მირიად მზეთა ცეცხლი –  
სამყაროს თავზე აწვიმს...  
ჭრიალებს მოვარის ანძა.

და...

ჭვრები შენ –  
"ოქროს საწმისს",  
გითარც კოსმიურ "და-ძმას".

1979



\*\*\*

მოაღწია მაინც დღემდე,  
თუმც დრო-ჟამი ედგა  
გლოვის...  
ერთი არა,  
ასი იყო, —  
საქართველოს სისხლის მწოვი  
გასაპა<sup>1</sup> და  
გასილისკო<sup>2</sup>.

1993

1 - გასაპა -ბაჭეფი  
2 - გახილისკო - გველი



\*\*\*

წარსულიდან მოსული  
თბილისს –  
ტანზე დაუკლის –  
ხმა ზურნის და დაფდაფის,  
დოლისა და დაულის.

1991



## გილ ეთელი

შენმა კოლხეთმა პონტოს ნაპირზე  
უნდა დაგიდგას,  
ვით ეიფელი,  
სიყვარულის ცას მწვდენი ძეგლი!  
ამქვეყნად თუა სინდის –  
ნამუსი,  
მაგრამ...  
ათასი მტერი ჰყავს ეგრისს,  
შენც...  
უფრო ბევრი ფარსადანი  
და იანუსი.

2014



## პოსმიური მხედარი

შენ,

ვით სამოცდამეხუთე,  
ქართველ მორიგე ხვთისშვილს,  
მთელი სამყარო გხედავს:  
ურჩხულთან მარად მებრძოლ,  
როგორც კოსმიურ მხედარს.

2014



\*\*\*

"კოლეგის დამწერლობა უნდა პქრონდა"

პეტროვიჩი

პონტოსა და ფაზის პირ,

რაც გიხილე მშობლიური

ცა მრგვალი.

მე, მას შემდეგ,

სანთლით ვეძებ ბიბლიამდელ –

კოლეურ წიგნებს:

"ოქროს საწმისს",

"ოშვას",

"ტაბუს"-ა და

"მარგალითს" ..

1963



\*\*\*

შენ,

პოეტ!

მუდამ უნდა ისმენდე, –

ქართულ გაშას,

ფრანგულ –

აპლოდისმენტებს.

2014



## პროფესიონალი

"პეტრი, თქვენ, არაგველებო!"

ლადო ახათიანი

სალკლდისგან ნაშენებ სხეულში,

ძალა ჩასდგომიათ

ზევსური,

და მტერს გეფხეურად კვეთებიათ.

ველზე რომ ჰყვავიან –

ყაყაჩოები,

სამასი არაგველი ხევსურის

დაღვრილი სისხლის

წვეთებია.

1966



\*\*\*

ვითარცა ეს ცა და ეს მიწა,

მზეც და მთვარეც ხომ

ერთურთის მისხია.

და დამეები ფიქრებმა უთიეს.


ცხოვრება —

ცრემლი და სისხლია,

სამყარო —

პანდორას ყუთია.

2009



\*\*\*

დელვა ათასწლეულთა –  
ათოვდა და  
აწვიმდა...  
და მტკვრის ოხვრა ისევ ესმის  
მუდმივი...  
თბილისს თავზე მთაწმინდა –  
ისევ ხურავს –  
რუსთაველის ქუდივით.

1962



## შემოდგომას პირსაცვალს

ჩამავალი მზის სხივებს  
მკერდზე ოქროდ მიიფენს,  
ზუ-ცა ოქროს გერბიანს,  
შემოდგომას –  
ბიისფერს,  
შემოდგომის  
– ფერ ბიას.

1961



\*\*\*

მოჰყვება ნიავს და

არავის\*,

და ყოფნის ედემ-ბალს,

სანამდის არ გვიქცევს

ეწერად,

მანამდე არ იცის არავინ,

არყოფნა

თუ როდის გვეწვევა.

2013

\* არავი – სამხრეთის ქარი



## თბილისო

ასე კარგი და ლამაზი,  
მტკვრის ქარქაშვი  
სანამ გმალო?!

აგალ მთაზე,  
მთაწმინდაზე,  
ხელებს გავშლი –  
ჯვრად ვიქცევი,  
თბილისო,  
რომ არ გაგთვალონ!

1979



## რუსთაველი

ქუხილის გზებით მოვიდა ციდან  
და ღმერთმა მისცა  
ბალახის ძალა,  
გაუხუნარი სიმწვანე მოლის.  
მარტოდ-მარტოა,  
არა ჰყავს ცალი,  
რვაასი წელი ვერ პპოვა ტოლი.

1966



## მტრედები სიონიან

ტაძარში მწერის ისმის გალობა,  
და მიბნედიათ მტრედებს  
თოლები,  
მარადის მშვიდებს,  
მშვიდბუნებიანთ,  
ისინი ლოცვებს ხმას აყოლებენ,  
ბანს აძლევენ და  
ელუღუნებიან.

2000



## ოთხთავი

მწვანედ გააქვთ ბიბინი,  
რწმენის ხნულში დათესილ –  
სახარებას დვთის ძეზე,  
დვთის კარნახით დაწერილ –  
იოანეს,  
ლუკასი,  
გარკოზის და მათესი.

1968



\*\*\*

არავითარი ბუსნო და ბელტი,  
მყარი, ვით ძელქვა  
და აპაცია —  
ადამის მოდგმა განგებამ შობა,  
ვით ნათლის სვეტი,  
მერე ხელები გააშლევინა  
და ჯვრად აქცია.

1980



\*\*\*

ათას კი არა,

მე ერთს ვინატრებ:

ფარსადანივით ნუ მიღალატებ!

ხელს ნუ დაიბან,

როგორც პილატე!

ძე,

შენ მიყვარხარ!

2008



## გათხვება

ცად ღრუბლები შრიალებენ –  
ელვით გასანასკვავები,  
მობრძანდება მზე აღსავლით,  
ნაფეხურებს ასდის ალი,  
გზად სინათლის ქუდს  
უხდიან,  
ჯარად მდგარი ვარსკვლავები.

1969



## მთები და ზღვები

მთებსა და ზღვებს გაჩენიდან –  
გმირ-რაინდთა სდევდათ  
მზერა,  
როგორც გამარჯვების ვაშა.  
მთები – იყო დიდი ვაჟას,  
ზღვაა –  
ჩემი ბედისწერა.

2001



\*\*\*

მიიღოიკება როდესაც

დასავლით –

მზე საღამოსი.

დარეპს "კოლხური ზარები"...

შენ,

მორთულს –

ახალ სამოსით,

სადღაც,

შორს გაგამგზავრებენ...

2015



## ოდაპადე

კვლავ მოგელის ხობისწყალი,  
სადაც გაგიშლია ბადე!  
და უმხელდი პარას ჭალას,  
ჩუმ ოცნებებს გულში ნადებს...  
"სქანი ჯგირი შურობუმუ<sup>1</sup>,  
"სქანი სქვამი ოდაბადე<sup>2</sup>".

1958

1,2 – შენი კარგი და ლამაზი დაბადების ადგილი (მეგრ.)



\*\*\*

სიხარულის ხის ისმის შრიალი,

შოორს –

შამბალაა და ანდები.

აქ კი, დღე არის ქარიანი.

და ფიქრის ცაზე –

გელანდება –

"სულ მცირე ღრუბელი"-

მარიამი.

1979



\*\*\*

კოლხეთი – ბიბლიას,  
აბა რაა...

ლეგენდებს კბილები  
ამოსვლიათ.

შენი "კოლხური ფსალმუნები"  
"კაბალაა\*" –

ქართულის ცეცხლის სამოსია.

1991

\*კაბალა – მეცნიერთა ენციკლოპედია



\*\*\*

არსაიდან მოხველი —

შენი თავისუფალი

და არავის ემონე!

შესძელ მიწის ოცნების

მეცხრე ცაში ატანა.

მძგინვარ ზღვაზე გამსვლელი

ხარ პოეტი —

დემონი,

ეშმაკიც და სატანაც.

1975



\*\*\*

ლოდინის ლოდზე დამჯდარი

განთიადსა და

მზეს ელი...

მღვრიე დრო უფრო იმღვრევა...

ცა – არის შენი მშველელი,

ზღვა კი – ძალა და

სიმღერა.

1972



## შუმერებს და აქაღებს

ნეტავ, რა იქნებოდა,  
შუმერებს და  
აქადებს,  
ისე, ვით არგონავტებს,  
"კუტაია" ენახათ,  
მოელწიათ აქამდე?!

1968



## ცვარ-ნამი

განთიადისას მოსულო

ცვარო,

სპეტაკო ღვთის სიტყვავ.

ნამო,

უფლისებრ ქეთილო!

"ცუარო ცხოვრებისაო<sup>1</sup>"

"ცვარო, ზეგარდმო

წვეთილო<sup>2</sup>!"

1984

1 – მიქაელ მოდრევიძე

2 – დავით გურამიშვილი



\*\*\*

ხილულის თუ უხილავის,  
აღარა ხარ კმაყოფილი,  
რადგან "მიღმურს" ეტანები.  
და წამითაც გეღარ შესძელ –  
ცხადად ქცევა ნეტარების,  
ასრულება არყოფილის.

2005



\*\*\*

სხვა პლანეტიდან გადმოფრენილი,  
შენ ხარ მხედარი –  
დღეთა მარულის,  
ათასწლეულებს რომ დაამუნჯებს,  
შენშია ზესთა სიბრძნე –  
ფარული  
და მიწიერი აზრთა საუნჯე.

2001



## შავი არაბვი

სამშობლოს ცეცხლი ენთოთ გულებში,  
კრწანისთან მტერმა რომ  
ჩააქრო და გააცივა  
(თუმცა მომხდური უღვთოდ დარაგვეს!)  
და... ჰა,  
მას შემდეგ შავი არაგვი  
გლოვობს და გლოვობს –  
სამას არაგველს  
და... ტანზე შავი ძაბა აცვია...

1968



\*\*\*

მიმდევარი მაცხოვრის –

"მელენი<sup>1</sup> და

მოლენი<sup>2</sup>"

არასდროს დაიგმობა!

შენ კი ზეცა გმფარველობს,


მამისაგან მოვლენილს

და "ფალავან მწიგნობარს".

1999

---

1,2 – გაღმელი და გამოღმელი (მეგრ.)



## ეძევ ბაზი

ადამის ძეს კბილი ბევრჯერ  
მოსჭრა არა სიცოცხლის,  
ცნობადის ხის ნაყოფმა.  
მაგრამ მაინც ედემ ბაღში  
ერთად დგანან,  
ვით დღე-დამე,  
ვით ყოფნა და არყოფნა.

1969



\*\*\*

აფხაზეთი კი არა,  
საქართველოს,  
ვით არსაკიძეს, მარჯვენა მოპვეთეს!!!  
ქართული მიწა კი  
ცრემლებით ირწყვება.  
და ყველამ იცის –  
მტერმა თუ მოკეთემ,  
რომ საქართველო კოლხეთით იწყება.

1992



## შიდამური და პროანისი

ირევა ქამთა მორევი,  
მიჰქოიან საუკუნენი...  
წიწამურიც და  
კრწანისიც,  
მამულო! ჩემთვის ორივე –  
სნებაა განუძურნელი!

1963



\*\*\*

უამთა ქარში მომწყვდეული,  
პონტოსავით რომ გმინავდა –  
ქართულ სიტყვის მზის –  
მთესავი.

დღეს ცა უხმობს –  
ცის ბინადარს,  
ორბუნოვანს ქრისტესავით.

2015



\*\*\*

ზღვას გრიგალი ჯვარზე აკრავს  
და, მთვარისგან განსხვავებით,  
მზემ მწუხრის ნაღმს  
ფეხი წაჟკრა  
და აფეთქდა დასავლეთით,  
მერე ცაში ვარსკვლავებად  
გაიფანტნენ ნამსხვრევები.

1972



\*\*\*

კოლხთა წარსულიდან მოხველ  
და საუნჯე გაქვს უთვლელი...  
გზაც ნაფენი ნარ-ეპალით.  
გასაგისი ხარ რუსთველის  
და ფშაველას –  
ალი-კვალი.

2014



\*\*\*

რწმენის ოქროს მარცვალი

იქცა ერთი

ათასად.

მაგრამ აღარ აცალეს,

ცამეტ ვერცხლზე გაცვალეს!!!

თუმც ხელთ ეპყრა გრაალის –

უსამანო ცა – თასად.

2013



\*\*\*

ფაზისის და პონტოს პირას –

ლეგენდიდან ჩამორეკილს

კვლავ ვაძოვებ ოქროს აპისს\*.

თვალუწვდენი მოჩანს ახო!

ზღვა ღელავს და...

აბა, ვნახოთ! –

გინ გააღწევს გაღმა ნაპირს.

2014

\*აპისი – (ბერძ.) – ლეთაებრივი ხარი



\*\*\*

დამეს და სიშორეს

ისევ ისე გალობს –

უხილავი ქორო.

ცა – ოპერაა და,

ვარსკვლავთა დიდ ორკესტრს,

მთვარე დირიჟორობს.

1965



\*\*\*

ამ აყვავებულ ველ-მინდვრებს

მსურს,

რომ მარადებამს ვხედავდე.

არ ვიცი, რა მეშველება!

რა არის წუთისოფელი,

— თვალის

სულ ერთი შევლება.

2014



\*\*\*

ეს მერამდენე წელიწადია,  
დედამიწაზე რომ ვერ ეტევი  
და, შორს კი არა,  
ხობის პირას,  
აქვე,  
ხეთასთან,  
ფართა ქდარუნს რომ ისმენ ხეთების.

1979



## ლოდინი

მეთორმეტე საუკუნე,  
რა ხანია —  
უკან დარჩა.  
და მას შემდეგ,  
ჩვენ მეორეს ველით  
რუსთველს,  
მაგრამ იგი ჯერაც არ სჩანს.

1999



\*\*\*

ათასწლეულთა

უფრო იქიდან

რადგან სიმღერად ქვეყნად

მოხვედი,

გარდასულ

დღეებს

ადარ მისტირი,

თუმც აიეტის არის კოლხეთი,

შენი ოცნება და

ორიენტირი.

2001



## საზოგადი და გრაალი

სიყვარულის გარეშე  
ეს ლამაზი სამყარო,  
აღარა დირს ჩირადაც.  
სხვა ცეცხლმა და სხვა ალმა,  
ისე, როგორც საწმისმა,  
ისე, როგორც გრაალმა,  
ბნელი გამიჩირადღნა!

1998



\*\*\*

ვით მონადირეს მაზე ქურციკი,  
ისე  
მეხს ელვა წამოუხდება  
და ხმა ქუხილის ზეცას აყრუებს...  
...ლექსე –  
ჯვარედინი რითმა უხდება,  
როგორც ლამაზ ქალს –  
ოქროს საყურე.

1964



\*\*\*

ჩემი იმედის მწვანე ბალახი

მთელ დედამიწას

ისევ ედება....

თვალუწვდენელი რწმენის მინდვრები -

ოქროდ ბიბინებს,

ის განა გახმა!

და... ისევ უძლებს ჟამთა

ალმურებს.

სადღაც ცხრა ცის და

ცხრა ზღვის გადაღმა,

ვიღაც მიელის "კოლხურ ფსალმუნებს".

1994



\*\*\*

როცა გულ-მკერდზე დამაყრიან  
მიწას გრუხენით,  
თვალები ცრემლით აევსებათ  
ჩემს ძველ "ძმა-ბიჭებს".  
და რომ მიწყდება ცრემლი  
და გლოვა,  
მივატოვებ და...  
მე ჩემს საფლავს გადავაბიჯებ  
და, საყვარელო,  
კვლავ შენთან მოვალ.

2015



## 06ანა

ზესკნელიდან გზა მისი,  
დაბლა,  
ძირს,  
ქვესკნელამდე,  
ცრემლებით დაინამა...  
მაინც სანთლებს უნთებდნენ  
შუმერები თავიანთ –  
ქალღვთაება ინანას.

1975



\*\*\*

ზღვაში დამხრჩალთა სულები –  
ამოდიან და დამდამით  
მთვარის ნელ ცეცხლზე  
თბებიან...  
ქარიშხლით მკერდდაბორცვილნი  
ზღვები,  
ზოგჯერ კი – მთებია.

1979



\*\*\*

ქვეყნად სიკვდილის გარეშე,  
სიცოცხლე არ ჩაითვლება,  
ორივეს ჩემი თაყვანი.  
ერთი ხისაგან ითლება –  
ჩვენი კუბოც და  
აკვანიც.

2007



## ღარღვერები ნეპრესის

მალე მიინავლება —

სამი ათასწლეული,

რაც "ქართულის" გარშემო

არის დავა,

კამათი...

რეკენ დედო ზარები —

ჩვენი ეკლესიების.

რაც მოგვიხმობს ნიადაგ,

ძველი სტელა "დავათის<sup>1</sup>",

სტელა "შარაგასასის<sup>2</sup>",

"წარწერები ნეკრესის<sup>3</sup>".

1976

1 — "დავათის" სტელა — (ძვ. წ. 680 წ.)

2 — "შარაგასის" სტელა — (ძვ. წ. 800 წ.)

3 — "ნეკრესის წარწერები" — (ძვ. წ. II — I ს. ს.) ახლანდელ  
ყვარლის რაიონი

## “ექვსი დღე”

მიწის ძეს,

ვითარცა ანტეოსს,

ცა ცდილობს,

მიწასთან გამყაროს!

სადაც ვარსკვლავთა ფეხვი ძევს,

ქს,

მე ვარ სამყარო –

"ადამის შესაქმის ექვსი დღე".

1971



\*\*\*

ფეხდაფეხ დამდევს არყოფნა,  
ყოფნას გასვლია ყავლი.  
ცნობადის ხიდან ნაყოფი  
ცვივა და... მრჩება ვალი.  
მე

აღარ მინდა სიცოცხლე,  
სიკვდილის გვერდის ავლით.

2009



\*\*\*

მეფეებს ცეცხლით და ომებით

სამყარო –

აუხანძრებიათ,

სადაც ათასწლეულები ირევა...

შენი "ფსალმუნები" –

ტაძრებია:

ოუპიტერის,

ოუნონას,

მინევრას.

1998



\*\*\*

წყვდიადში გზას რომ მიიკვლევს,  
ხელს უშლის მნათთა  
ტინები

მზეს  
რომ პკიდია ფარი – ცის.  
ჩვენც

სიძვდილს ვეპოტინებით,  
რადგან სიცოცხლე არ იცდის.


2013



\*\*\*

არ-რა არსებობს ქვეყნად  
უდედოდ!  
დედა ჰყავს წუხილს,  
ცრემლსა და  
სევდას.  
ყველას და ყოველს,  
მხოლოდ სიკვდილს –  
არა ჰყავს დედა.

2001



\*\*\*

სადღაც მუხის ფუღუროდან

ზარნაშო,

დამეულ ცას უდმერთობას

შეჰკივის...

და აკვესებს ცეცხლის მფრქვეველ

თვალებს.

ცხრა მთის მიღმა,

გაჩხიკული მთვარე,

ცას პკიდია ევას გამხმარ

ნეკნივით.

1976



\*\*\*

პირი წყლითა მაქვს სავსე,  
რა გითხრათ, არაგვო და  
თერგო!  
ორი ათასი წლის წინათ –  
"ძეგლი ავიგე ხელოუქმნელი" –  
თქვა ჰორაციუსმა  
და...  
დიდება პუშკინს ერგო!!!

1968



## მადონ ჩქიმი არაბა

სადღაც,  
ვიღაც წარსულში,  
მიდის სოფლის შარაზე  
და იმდერის ნაღვლიან:  
"მადო ჩქიმი არაბა"-ს,  
ხმას წუხილი შეერთვის,  
ეხლა მისთვის ერთია  
ქრისტეცა და ბარაბაც.

1991

\* "მადო ჩქიმი არაბა" – (მეგრ.) მე და ჩქმი ურემი.



\*\*\*

საიდანლაც ხმა გეხმის –

მავალს მთად და

ჭიუხად:

– რუსთაველს და ფშაველას,

ასე,

ხელცარიელი,

ნეტავ, როგორ მიუხვალ?!  
2014



## არაპესპები

მზის და სიცოცხლის მომლოდინე,  
ათასწლეულებში განბანილი,  
სულს და გონებას რომ  
ესკვნებიან,  
შენი "ფსალმუნები",  
განა არაბული,  
ძველკოლხური –  
არაბესკებია\*.

1978

\* არაბესკები – (ფრანგულ –იტალიურ – არაბული)  
რთული ორნამეტები  
(პატარ-პატარა ლიტერატურულ ან მუსიკალურ  
ნაწარმოებთა კრებული)



## დასაბამი

ნაშიერნი ადამის  
ისე, ვითა მხეცები,  
სულ ერთმანეთს დასჭამდნენ,  
დროზე რომ არ მოესწროთ:  
კოლხებს,  
ეგრებს,  
ლაზ-ჭანებს.

1966



\*\*\*

დაცემის არა,  
ამაღლების დასაწყისია,  
თეორი მთები რომ ჩანს  
აფრებივით.

საქართველო –  
ოქროს საწმისია,  
შავი ზღვის პირას განვენილი.

1972



\*\*\*

სულს თუ აქამდე ვნაბავდი,  
შორეთით გადმოხვეწილი.  
მე ვარ და ჩემი ნაბადი,  
ეხლა არვინ მყავს მოწილე!  
ო,  
რა ლამაზი იქნება  
ჩემი  
სიკვდილთან ქორწილი.

2014



## სარჩევი

*** (ღვთისმოსავი ცეცხლის მქრობის)	25
არც ნოე ჩანს, არც ესავი.....	26
*** (უსამანო ცის ველ-მინდვრებს).....	27
*** (ნისლით მოსილ) .....	28
*** (ხმა შენეულ „ფსალმუნთა“) .....	29
*** (სააკაძის ორგზის მოკვლის) .....	30
*** (ბაირონის გზას მიჰყვება) .....	31
*** (წვიმამ უცებ გადაიღო) .....	32
ლიპარიტი .....	33
ტუია .....	34
*** (წამით გამომკრთლ ნათელზე ელგის) .....	35
ლარაქი და ბადთიბირა .....	36
ხმები .....	37
კონდაკი და ტროპარი .....	38
მიდია, მედია, მედოსი .....	39
*** (წამლად არ ჩანს ნიავქარი) .....	40
*** (შესციცინებს ქამს უჟამოს) .....	41
*** (დასავლეთისკენ რბიან ღრუბლები) .....	42
*** (გადანისლულ ზღვის ტაძარში) .....	43
*** (ქვეყნის გასანათებლად) .....	44
აია-ნები .....	45

ვეფხისტყაოსანი.....	46
*** (ვარსკვლავებით დახუნძღული) .....	47
ბერბერებს და გუანჩჩებს .....	48
*** (მოსვლის დღიდან თვალმი- პყრობილს) .....	49
*** (საიდანდაც მოვარდნილი) .....	50
*** (რა ვუყოთ, თუ ზოგ-ზოგებს) .....	51
აინები და კბმერები .....	52
*** (მიდის ჟამთა მდინარე) .....	53
*** (საუკუნენი ჩაიგლიან გრგვინვით) ...	54
*** (როკვად ალარსად ჩანდა კარავი)....	55
*** (მრავალ შვილთა მომლოდინე) .....	56
*** (დღეს) .....	57
ქართუ .....	58
სერდაქს და რუქს .....	59
ქარიშხალი ზღვაზე .....	60
ასტროიდები .....	61
ექურის და ეანნას .....	62
დელაკრუა .....	63
სომას და ჰამოას .....	64
*** (გრიგალი ზღვას აღვიძებდა) .....	65
ანდები.....	66
*** (შური კლავთ და...) .....	67

*** (მიმწერისას ცის სილურჯე)	68
*** (საიდანდაც ხმა ისმის)	69
რიკული	70
კოლხურ ლეგენდებს და მითებს	71
ეგსტათ მცხეოლს, აბი თბილელს	72
*** (ეხეთქება ნაპირს მტკვარი)	73
*** (ბევრ დიდ მეფეს და)	74
(უკან დარჩა ზღვები და)	75
დევების სასაფლაოზე	76
*** (ელის წმინდა სამება)	77
გრაალის მცველ რაინდებს	78
მამული	79
მარდუქი	80
*** (მზე კი არა)	81
იოანე ლაზი და პეტრე იბერი	82
მარდუქი	83
*** (ადამის ძის ნაშიერებს)	84
პარდუ	85
*** (რასაც ცაში ეძებდა)	86
უფლის ყანა	87
*** (იდგა ჟამი)	88
*** (მეტი რა ქნას პოეტმა)	89
ლეონარდ ულლის	90

*** (ცხოვრების ათას დარჯაპ გამოვლილს).....	91
*** (ძმად მიხმობ) .....	92
*** (შესციცინებების ქვეშეთხ).....	93
ტალღა.....	94
*** (დავიწყების ბილიკებით).....	95
არკადია .....	96
*** (შოორს).....	97
*** (სადღაც ათასწლეულების) .....	98
*** (დღის და დამის სამჭედლოში).....	99
*** (ისტორიის მინდორი) .....	100
ეხრიტონ და ნეფერტიტი.....	101
*** (იბერიის მთიულები) .....	102
*** (ქაოსიდან ამოვიდა).....	103
*** (ის წყვილი ვარსკვლავი) .....	104
მოქვის ტაძარი .....	105
ვაჟასა და გალაკტიონს .....	106
*** (მზის და მთვარის მახვილით).....	107
*** (ბაბილონის გოდოლს აგებ).....	108
გა, გაცი და ზადენი.....	109
კაპადოკიაში .....	110
*** (სულიწმინდის მონაბერი) .....	111
*** (ქართული სიტყვის დიდების).....	112

გარდა შენ და ფაზისის.....	113
*** (როცა გავა „ორმოცი“).....	114
*** (აიეტივით შენ ხარ მზის შვილი).....	115
ვარსკვლავები – იდიოგრამები .....	116
მიქელსა და გაბრიელს .....	117
სარგონ მეფე.....	118
*** (თუკი ვსდიეთ ოქმულებებს).....	119
*** (მეხის დახურულ ცის მინდორზე).....	120
ქალდებსა და იბერებს.....	121
ზადენი და არმაზი.....	122
*** (ახალნაყარი სკებივით) .....	123
*** (უკვდავების მდომელმა) .....	124
*** (ვარსკვლავების სიშორე).....	125
პიპათია.....	126
*** (მთებით ხელ-ფეხ შეკრული).....	127
პლინიუსი და პტოლემე.....	128
*** (რადგან გინოთია მადლის კოცონი) ..	129
*** (ადრე სხვა იყო...) .....	130
*** (ჩემს ხორგაში ვარ).....	131
*** (ან მარეს და აიეტის) .....	132
*** (სიცოცხლეში აღარ ძალუქს მენცარს) .....	133
ისევ მოლოდინი .....	134

*** (მზე გველეშაპს გადუელაპავს).....	135
*** (ათასწლეულების მერე) .....	136
ქალდეველთა ქვეყანა .....	137
*** (წარმავალია ქვეყნად ყოველი) .....	138
*** (ქარიშხლის ძახილზე ტალღები) ....	139
ნაირის და ბიანას .....	140
*** (ათასწლეულების მერე) .....	141
პონტოს სანაპიროზე .....	142
მატიტელა.....	143
ორი ვაჟა .....	144
უდები .....	145
კონდაკი და ტროპარი .....	146
*** (კვლავ ეხვევა მუხას მუმლი) .....	147
*** (მუხლმოყრილი დგანან მთები).....	148
*** (მაშინ).....	149
*** (სადღაც გალაქტიკაში) .....	150
ბასილ დიდის ჰომილიებს .....	151
*** (ამაყად და თავმომწონედ) .....	152
*** (ორიოდ ლექსი შეუბუმბლავი) .....	153
ენგურსა და ეშარას .....	154
*** (სამოთხის მაღალ კარიბჭეს).....	155
*** (თუმც ახლო იყო არსთაგამრიგე)....	156
კოლხებსა და იბერებს .....	157

არშის ციხე.....	158
მგოსნის სული .....	159
*** (დაკანკალებდა სიცივე).....	160
*** (მარადისობას გამოქცეული) .....	161
ჯვარს აცვით ეგე ..... *** (გეხურა ელვით ცა დაკემსილი) .....	162 163
კოლხ-ქალდების იმპერია .....	164
*** (გზას გიახლოებს უფალთან) .....	165
*** (მზე ჩავიდა...) .....	166
ხილვა: ენქიდუ და გილგამეში.....	167
*** (არავინ იცის, რა გველის) .....	168
ამაღლება .....	169
*** (ხენებაც კი არ სურთ ქუჯის).....	170
სამშობლოვ ჩემო! .....	171
*** (დასავლეთიდან მოვარდნილმა) .....	172
*** (ვინც უღალატა დგომიურ სიყვარულს) .....	173
ნაკადულები .....	174
აფრიკა და დმანისი.....	175
*** (სიკვდილი სხვაა).....	176
*** (მორჩა!) .....	177
პელაზგი.....	178
*** (ფიქრი არაგვს აჟყვება) .....	179

*** (მღვრიე ათასწლეულების).....	180
*** (გზა გვიძევს მოსაკურცხავი).....	181
გეასა და ურანოსს.....	182
*** (მირიად მზეთა ცეცხლი) .....	183
*** (მოაღწია მაინც დღემდე) .....	184
*** (წარსულიდან მოსული).....	185
ვით ეიფელი .....	186
კოსმიური მხედარი.....	187
*** (პონტოსა და ფაზის პირ).....	188
*** (შენ).....	189
კრწანისის ველი .....	190
*** (ვითარცა ეს ცა და ეს მიწა).....	191
*** (ღელვა ათასწლეულთა).....	192
შემოდგომას ბიისფერს.....	193
*** (მოჟყვება ნიაგას და) .....	194
თბილისო .....	195
რუსთაველი .....	196
მტრედები სიონთან.....	197
ოთხთავი .....	198
*** (არავითარი ბუსნო და ბელტი) .....	199
*** (ათას კი არა) .....	200
გათენება .....	201
მთები და ზღვები .....	202

*** (მიიღოკება როდესაც) .....	203
ოდაბადე.....	204
*** (სიხარულის ხის ისმის შრიალი) .....	205
*** (კოლხეთი – ბიბლიაა) .....	206
*** (არსაიდან მოხველი) .....	207
*** (ლოდინის ლოდზე დამჯდარი) .....	208
შუმერებსა და აქადებს.....	209
ცვარ-ნამი .....	210
*** (ხილულის თუ უხილავის).....	211
*** (სხვა პლანეტიდან გადმოფრენილი) ..	212
შავი არაგვი.....	213
*** (მიმდევარი მაცხოვრის) .....	214
ედემ ბადი .....	215
*** (აფხაზეთი კი არა).....	216
წიწამური და კრწანისი.....	217
*** (ჟამთა ქარში მოწყვდეული) .....	218
*** (ზღვას გრიგალი ჯვარზე აკრავს)...	219
*** (კოლხთა წარსულიდან მოხველ).....	220
*** (რწმენის ოქროს მარცვალი) .....	221
*** (ფაზისის და პონტოს პირას).....	222
*** (ლამეს და სიშორებს).....	223
*** (ამ აყვავებულ ველ-მინდვრებს) .....	224
*** (ეს მერამდენე წელიწადია) .....	225

ლოდინი .....	226
*** (ათასწლეულთა) .....	227
საწმისი და გრაალი .....	228
*** (ვით მონადირეს მაზე ქურციკი) .....	229
*** (ჩემი იმედის მწვანე ბალახი) .....	230
*** (როცა გულ-მკერდზე დამაყრიან) ....	231
ინანა .....	232
*** (ზღვაში დამხრჩვალთა სულები).....	233
*** (ქვეყნად სიკვდილის გარეშე) .....	234
წარწერები ნეკრესის.....	235
„ექვსი დღე“ .....	236
*** (ფეხდაფეხ დამდევს არყოფნა) .....	237
*** (მეფებს ცეცხლით და ომებით).....	238
*** (წყვდიადში გზას რომ მიიკვლევს) ..	239
*** (არ-რა არსებობს ქვეყნად) .....	240
*** (სადღაც მუხის ფულუროდან) .....	241
*** (პირი წყლითა მაქვს სავსე) .....	242
მადო ჩქიმი არაბა .....	243
*** (საიდანდაც ხმა გესმის) .....	244
არაბესკები .....	245
დასაბამი .....	246
*** (დაცემის არა) .....	247
*** (სულ სოუ აქამდე ვნაბავდი) .....	248



ვაჟა ებრისელი

**გოლჩური ფსალმუნები**

**100 ტომაზ  
ტომი 2**

**VAZHA EGRISELI**  
**“KOLKHURI PHSALMUNEBI”**  
**ONE HUNDRED VOLUME**  
**VOLUM 2**

- |                     |                                |
|---------------------|--------------------------------|
| გამომცემლობის       |                                |
| რედაქტორი           | – დათო ჩაცეაშვილი              |
| მხატვარი            | – სპართაძ ცინცაძე              |
| მხატვრული რედაქტორი | – ირაკლი უშვერიძე              |
| ტექნიკური რედაქტორი | – ნანა ღუმბაძე                 |
| კორექტორი           | – მარი ებრისელი                |
| კომპიუტერული        |                                |
| უზრუნველყოფა        | – ნანა და დავით ჯიმშვილამავაძე |

გამომცემელი – დაწი დოლებაია

ფასი 20 ლარი

თბილისი  
2019



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოსიანის №4. ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com